პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ И СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 204 (9980) | შაბათი, 28 აგვისტო, 1954 წ. | ფასი 20 კაპ.

დღეს ნომერში:

ჩვენს დიად წამშობლოში (1-ლი გვერდი).
თბილისის უმაღლესი სასწავლებლების მეცნიერების მუშაკთა ორდენებითა და მედლებით დაჯილდოება (1-ლი გვერდი).
გადაჭრით ავამაღლოთ მეცხოველეობის პროდუქტიულობა. — იძენენ ჯიშიან პირუტყვს. ფერმებში უწესრიგობაა (მე-2 გვერდი).
პ. **მახარაშვილი.** — მომზადებული შევხვდეთ რთველს (მე-2 გვერდი).
ქუთაისელ მანქანათმშენებელთა წარმატებები (მე-2 გვერდი).
სასწავლო და აღმზრდელობითი მუშაობა [illegible] საათის (მე-3 გვერდი).
ვ. **კუპრავა.** — თეატრალური ხელოვნება [illegible] მაყურებლის მოვალეობისათვის (მე-3 გვერდი).
ნერეს სიტყვა ინდოეთის პარლამენტში (მე-3 გვერდი).
ბონის ბუნდესტაგის დეპუტატის შმიდტ-ვიტმაკის განცხადება პრეს-კონფერენციაზე ბერლინში (მე-4 გვერდი).
უცხოეთის ინფორმაციები (მე-4 გვერდი).

გულდასმით მოვემზადოთ ზამთარში შეუფერხებელი მუშაობისათვის

კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მიერ ჩვენი მრეწველობის, ტრანსპორტისა და ახალმშენებლობათა მუშაკების წინაშე დასახული დიდი ამოცანების პირნათლად შესრულებისათვის აუცილებელია ყოველ ინდუსტრიულ საწარმოში, ტრანსპორტზე, ყოველ ახალ სამშენებლო ობიექტზე მტკიცედ დავნერგოთ რიტმულობა, მაღალი ტემპით მუშაობის ჩვევა, უზრუნველვყოთ შრომის ნაყოფიერების განუხრელი ზრდა და პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებასთან ერთად მისი თვითღირებულების თანდათანობით შემცირება.

რიტმულად მუშაობის მტკიცედ დანერგვა ნიშნავს საწარმოს კოლექტივისათვის ყველა პირობის შექმნას ნაკისრ საწარმოო ვალდებულებათა გადაჭარბებით შესრულებისათვის, სოციალისტურ შეჯიბრებაში დაწინაურებისათვის, წარმოების კულტურის ამაღლებისა და ტექნიკური პროგრესისათვის.

მაგრამ ცნობილია, რომ წლის მთელი პერიოდის განმავლობაში საწარმოთა მუშაობისათვის ერთნაირი ბუნებრივი პირობები არ არსებობს. შემოდგომა-ზამთრის პერიოდს ყოველთვის ახასიათებს დამატებითი სირთულეები და ზაფხულის განმავლობაში აღებული ტემპისა და რიტმის შენარჩუნების სიძნელე. ცნობილია, რომ განვლილმა ზამთარმა ჩვენი რესპუბლიკის მრეწველობის, ტრანსპორტისა და ახალშენებლობათა ხელმძღვანელებს მკაცრი გაკვეთილი მისცა და ბევრ მათგანს გაუქარწყლა უდარდელობის ის შეხედულება, რომლითაც თავს ინუგეშებდნენ — ჩვენი რესპუბლიკა სამხრეთის ქვეყანაა, არასოდეს აქ ზამთარი ისეთი „მძიმე“ არ იქნება, რომ მუშაობაში ხელი შეგვიშალოს. უდარდელობის ასეთი განწყობილების შედეგი იყო განვლილ ზამთარში მთელი რიგი სირთულეების წინაშე ჩვენი მსუბუქი და კვების მრეწველობის საწარმოების დაყენება, შეფერხებები თბილისის კომუნალური მეურნეობის ზოგი დარგის მუშაობაში, ენერგეტიკულ მეურნეობაში და ა. შ.

რესპუბლიკის ახალი, დიდი ჰიდროელექტროსადგურების მშენებლებს უთუოდ კარგად ახსოვთ განვლილი ზამთარი, რომელსაც ისინი მოუმზადებელნი შეხვდნენ, როცა ჩაეფუშათ გრაფიკით მუშაობა, იძულებული გახდნენ შერიგებოდნენ მუშახელის და მექანიზმების გაცდენას. ასევე მოუმზადებლები აღმოჩნდნენ ზამთრისათვის ჩვენი მეშახტეები, მეტალურგები, ტრანსპორტის მუშაკები, საშენ მასალათა მრეწველობის მთელ რიგ საწარმოთა კოლექტივები.

ის მდგომარეობა, რაც განვლილ ზამთარში გვქონდა, მოსალოდნელია გამეორდეს წელსაც და შემდეგაც. ამიტომ საჭიროა ზამთრისათვის მზადებას განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ საწარმოთა და მშენებლობათა საგეურნეო, პარტიულმა და პროფკავშირულმა ხელმძღვანელებმა. ახლა ის პერიოდია, როდესაც ზამთრისათვის მზადების ძირითადი სამუშაოები სრული მასშტაბით უნდა იყოს გაშლილი. სამრეწველო საწარმოთა ხელმძღვანელებმა მხედველობაში უნდა მიიღონ ის, რომ არ კმარა მარტოოდენ საწარმოო კორპუსების მომზადება, დათბუნების სამუშაოთა შესრულება, ნედლეულის და საწვავის მარაგის შექმნა, ენერგეტიკული და საორთქლე მეურნეობის გამზადება ზამთრის პირობებში სამუშაოდ, არამედ ამასთან გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს თვითეული სამუშაო ადგილის მომზადებასაც, მუშათა საერთო საცხოვრებელი სახლებისა და ბინების შეკეთებას, მუშათა მომარაგებისათვის ზრუნვას. საყოველთაოდ ცნობილია, რომ რაც უფრო კარგად დაისვენებს მუშა, რაც უფრო უკეთესი საყოფაცხოვრებო და შრომის პირობები ექნება, მით უფრო მაღალი იქნება მისი შრომის ნაყოფიერება.

ამ მხრივ მეტად დიდია ის როლი, რომელიც ეკისრებათ საწარმოთა პროფკავშირულ ორგანიზაციებს. ისინი მოწოდებული არიან სათავეში ჩაუდგნენ ზამთრისათვის მზადებას და აქტიური ზეგავლენა მოახდინონ მუშათა და ინჟინერ-ტექნიკოსთა საცხოვრებელი სახლების რემონტის, საერთოდ ზამთრისათვის მზადების სამუშაოთა მიმდინარეობაზე. საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტებს მინიჭებული აქვთ უფლება კონტროლი გაუწიონ ზამთრისათვის დაწყებულ სარემონტო სამუშაოებს, მოსთხოვონ სამეურნეო ხელმძღვანელებს კოლექტიურ ხელშეკრულებათა შესაფერისი ვალდებულებების შესრულება. ამას წინათ საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური სახჭოს კულტურისა და ყოფაცხოვრების განყოფილების მუშაკებმა შეამოწმეს, თუ როგორ ახორციელებენ კონტროლის ამ უფლებას პირველადი პროფორგანიზაციები, რა როლს ასრულებენ ისინი ზამთრისათვის მზადებაში. აღმოჩნდა, რომ იშვიათია ისეთი საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტი, რომლის მუშაობაც ამ მხრივ დამაკმაყოფილებელი იყოს. ელექტროსადგურების მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტს, ავტოტრანსპორტის მუშაკთა რესპუბლიკურ კომიტეტს და მთელ რიგ სხვა ხელმძღვანელ პროფკავშირულ ორგანიზაციებს არაერთი ცნობა არ გააჩნდათ იმის შესახებ, თუ რა კეთდება მათი ხაზით ზამთრისათვის მზადების საქმის წარმატებისათვის.

შემოდგომა-ზამთრის სეზონი მოახლოებულია. დიდი დრო არ დარჩა იმ ვადამდე, როდესაც ყველა საწარმომ უნდა უზრუნველყოს ზამთრისათვის მზადყოფნის პასპორტის მიღება.

განსაკუთრებული უნარის გამოჩენა მოეთხოვებათ წელს ჩვენს ენერგეტიკოსებს, რომლებმაც, მათ სასახელოდ უნდა ითქვას, გასულ ზამთარში მიღებული გამოცდილება და მწარე გაკვეთილები წელს მხედველობაში მიიღეს, ადრე შეუდგნენ ენერგეტიკული ბაზების მომზადებას ზამთრის პირობებში სამუშაოდ. ენერგეტიკოსებს ჯერ კიდევ დიდი სამუშაოები დარჩათ შესასრულებელი და საჭიროა ყველა ღონისძიება იქნას მიღებული იმისათვის, რომ მომავალ ზამთარში ჩვენმა ენერგეტიკულმა ბაზებმა შეუფერხებლად და სრული დატვირთვით იმუშაონ.

დიდი სამუშაოები აქვთ შესასრულებელი მეშახტეებსაც. ტყიბულეთ-ტყვარჩელის ტრესტის საკარიერო-ქვასამსხვრევი მეურნეობა ჯერ კიდევ არ არის ზამთრისათვის მზად. არ კმარა მარტო ე. წ. შეაზავებელ დანადგართა გამართვა, საჭიროა ძველი მეურნეობის მოწყობა ისე, რომ ზამთრის ვითარებაში არ შეფერხდეს შახტებისათვის სავსები მასალის მიწოდება.

ბევრი რამ არის გასაკეთებელი რკინიგზისა და საავტომობილო ტრანსპორტს გამართული მუშაობის უზრუნველსაყოფად მომოდგომა-ზამთრის პერიოდში. მათი ამოცანაა გაადიდონ მადნის, სათბობის, საშენი მასალების გადაზიდვა, გააძლიერონ მუშაობა ლიანდაგო მეურნეობის გასაჯანსაღებლად, სატვირთო ჰიხეზის, მოძრავი შემადგენლობის მოსამზადებლად ზამთრის თვეებში შეუფერხებელი მუშაობისათვის.

ზამთრისათვის კარგად მომზადება მრეწველობის, ტრანსპორტისა და ახალმშენებლობათა სამეურნეო, პარტიული და პროფკავშირული მუშაკების უაღრესად პასუხსაგები მოვალეობაა. საქმის ინტერესი, ჩვენი სახალხო მეურნეობის შემდგომი აღმავლობის მოლოდინი ამოცანა მოითხოვს, რომ მრეწველობის სხვადასხვა დარგის ხელმძღვანელმა ორგანიზაციებმა — სამინისტროებმა, ტრესტებმა და სამმართველოებმა ოპერატიულად, ყოველდღიურად უხელმძღვანელონ ზამთრისათვის მზადების სამუშაოებს, დაუყოვნებლივ აღმოფხვრან შეფერხებანი ამ საქმეში და ამით შექმნან საწინდარი საწარმოების რიტმული მუშაობისათვის მთელი წლის განმავლობაში, მიუხედავად წლის დროთა ცვალებადობისა.

ტრაქტორისტთა სოციალისტური შეჯიბრება

დმანისის მტს-ში

საშემოდგომო ხვნაში დაწინაურდა მესამე სატრაქტორო ბრიგადა (ხელმძღვანელი ი. ჭინჭარაშვილი), რომელიც სოფელ ყიზილქილისას 26 კომისრის სახელობის კოლმეურნეობას უწევს მომსახურებას. ტრაქტორისტებმა ა. გაჯიევმა და მ. განჯელაშვილმა უკვე შეასრულეს ხვნის გეგმები. მთელი ფართობი მოხნულია წინასასნისიანი გუთნებით 25-28 სანტიმეტრ სიღრმეზე.

ხვნის გეგმა უკვე შეასრულა 170 ჰექტარზე შ. მურადოვის სატრაქტორო ბრიგადამ სოფელ ოროზმანის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში.

თეთრი წყაროს მტს-ში

მტს-ის მექანიზატორებმა საშემოდგომოდ 2.800 ჰექტარი უნდა მოხნან, 27 აგვისტოსათვის მოხნული ჰქონდათ 2.270 ჰექტარი. ბევრმა მექანიზატორმა გამოიჩინა თავი ნაყოფიერი შრომით. მათ შორის პირველ რიგში აღსანიშნავი არიან გ. თეოდოროვის სატრაქტორო ბრიგადის წევრები, რომლებმაც გეგმის გადამეტებით 105 ჰექტარი მოხნეს და დაზოგეს 3 ტონა საწვავი. მზრალად მოხნულია 200 ჰექტარი. ბრიგადა უზრუნველყოფილია ორ ცვლად მუშაობისათვის საჭირო კადრებით, ტექნიკით, ელექტროგანათებით.

ჩვენს დიად სამშობლოში

★

დაფასოვებული საქონლის გაყიდვა

ჩვენი ქვეყნის ბევრ მაღაზიაში მოწყობილია მთელი რიგი დაფასოვებული საქონლის გაყიდვა. ეს ერთიორად-ერთისამად აჩქარებს საქონლის გაშვებას და ამაღლებს მყიდველთა მომსახურების კულტურას. მნიშვნელოვნად დიდდება მაღაზიების გამტარუნარიანობა.

დაფასოვებული საქონლის გაყიდვაზე გადადის მთავარი გასტრონომის მოსკოვის კანტორის № 24 მაღაზია. მყიდველს აქ შეუძლია დაფასოვებული სახით მიიღოს ხორცისა და თევზის პროდუქტები, საკონდიტრო ნაწარმი, რძის პროდუქტები, სბაკალიო და სხვა საქონელი. პროდუქტები შეფუთული იქნება ცელოფანის ან პერგამენტის პარკებში, პარაფირებულ ჭიქებსა და დასაკეც კოლოფებში.

ხდება მაღაზიის რეკონსტრუქცია, აქ ეწყობა დასაფასოვებელი საამქროები. შენობაში ლაკვიდირებულ იქნება სალაროები. ფულს გაყიდულ საქონელში თვითონ გამყიდველები მიიღებენ. (საკდესი).

ელექტროსადგურების კასკადი მდინარე მედვედიცაზე

სტალინგრადი, 25 აგვისტო. (საკდესი). მდინარე მედვედიცაზე მიმდინარეობს მიხაილოვკისა და კრასნოიარსკის სასოფლო ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობა. ოვითეული სადგურის სიმძლავრე იქნება 2.000 კილოვატი. კრასნოიარსკის ჰესის მშენებლობაზე ახლა წარმატებით მიმდინარეობს ბეტონის სამუშაოები. ნოემბერში იგი მწყობრში ჩადგება. მიხაილოვკის ჰესის მშენებლობა დამთავრდება მომავალ წელს.

ეს სადგურები მდინარე მედვედიცაზე ჰიდროსადგურების კასკადის მშენებლობის დასაწყისია. უახლოეს წლებში აქ აშენდება 12 ელექტროსადგური. ეს საშუალებას იძლევა მთლიანად ელექტროფიცირებულ იქნას ოლქის ჩრდილოეთ რაიონების ყველა კოლმეურნეობა, საბჭოთა მეურნეობა და მტს-ი.

ყირგიზეთის მეძვანახშირეთა ქალაქში

ყიზილ-ქია (ყირგიზეთის სსრ), 26 აგვისტო. (საკდესი). ახალმა ვრცელმა სახლებმა დაამშვენეს წელს მეძვანახშირეთა ქალაქის ცენტრალური ქუჩები და განაპირა უბნები. მარტო „ყიზილ-კიაუგოლის“ სამშენებლო სამმართველომ უკვე საექსპლოატაციოდ გადასცა ათას კვადრატულ მეტრზე მეტი საცხოვრებელი ფართობი. მაღაროელთა თითქმის 150 ოჯახი შესახლდება საკუთარ სახლებში.

ახლა ქალაქში არის ხუთი საბამორო და საზაფხულო კინოთეატრი, სამი ბიბლიოთეკა, რამდენიმე სამედიცინო დაწესებულება, საშუალო და შვიდწლიანი სკოლა. ახალგაზრდობა განათლებას იღებს სამთო-სამრეწველო სასწავლებელსა და სამთო ტექნიკუმში. მაღაროელთა სიამაყეა მეშახტეთა შესანიშნავი კულტურის სასახლე.

რუმინეთის ქალთა დელეგაცია მოსკოვში ყოფნის დროს დაესწრო სრულიად საკავშირო სახოფლო-სამეურნეო გამოფენის გახსნას. სურათზე: ხაჭათველოს სსრ პავილიონის ტერიტორიაზე. ზუგდიდის რაიონის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადირი ორგზის სოციალისტური შრომის გმირი თ. ა. ყუფუნია (მარცხნივ) ესაუბრება სტუმრებს.
ფოტო ვ. მასტიუკოვისა (საკდესის ფოტოქრონიკა).

ჩვენი ქვეყნის საწარმოებში

დიდი პატივისცემით სარგებლობს ყარაგანდის მაღაროელთა შორის № 31 შახტის ელექტროზეინკალი ი. კ. სლეპოვი. ის გაუძღვრებესება, რომელიც მან დანერგა წარმოებაში, აუზს აძლევს დაახლოებით მილიონ მანეთ ეკონომიას.

* * *

ნიჟნი ტაგილის მარმარილოს მაღაროს მაღაროელებმა მოსკოვში გაგზავნეს მარმარილოთი დატვირთული პირველი ვაგონები. ეს მარმარილო მათ ამოიღეს რვა თვის პროგრამის გადამეტებით.

* * *

ლენინგრადის გემსაშენ-გემსარემონტო ქარხანაში წყალში ჩაუშვეს ლითონის პირველი კარჭაპი, რომელიც განკუთვნილია ტვირთების გადასაზიდავად პატარა მდინარეებით. გემი გათვალისწინებულია ბუქსირებისათვის ბიძგების მეთოდით. მისი წყალშიდი სრული ტვირთით ერთ მეტრს არ აღემატება. ეს საშუალებას მისცემს მას იცუროს წყალნაკლები სამდინარო მაგისტრალებით.

საწარმოში იწყება ახალი კარჭაპების სერიული წარმოება.

* * *

ახალი მთლიანი ლითონის მიმღები სატრანსპორტო გემების წარმოება თევზის მრეწველობისათვის აითვისა ასტრახანის კიროვის სახელობის გემსაშენმა. დამთავრდა პირველი ორი გემის კორპუსების მშენებლობა, მიმდინარეობს მოწყობილობის მონტაჟი.

ტრანსპორტებს ექნება მაცივარი აპარატები, ელექტროდანადგარები და რადიოდანადგარები...

* * *

კაუნასში დაიწყო ფეხსაცმლის ახალი ფაბრიკის მშენებლობა. იგი აღჭურვება უახლესი მოწყობილობით, მომდინარეობს ყველა საწარმოო პროცესის მექანიზაცია. საწარმო ყოველწლიურად გამოუშვებს მამაკაცისა და ქალის მილიონნახევარ წყვილ მოდელის ფეხსაცმელს. (საკდესი).

★

იყენებენ ვ. ს. მალცევის გამოცდილებას

ტიუმენი, 26 აგვისტო. (საკდესი). იშიმის რაიონის ყდანოვის სახელობის კოლმეურნეობაში ტ. ს. მალცევის მეთოდით დამუშავებულ ნაკვეთებზე, მიუხედავად გვალვიანი ზაფხულისა, ჰექტარზე მოღებულია 25 ცენტნერი საგაზაფხულო ხორბალი. უხვი მოსავალი მოიყვანეს ვიკულოვოს რაიონის ფრუნზეს სახელობის სასოფლო-სამეურნეო არტელის ყანებში. მის თავმჯდომარეს სოციალისტური შრომის გმირს ვ. ს. გოლცოვს მუდმივი კავშირი აქვს ტ. ს. მალცევთან, ფართოდ იყენებს ნიადაგის დამუშავების მის მეთოდს. წელს კოლმეურნეობაში ახალი მეთოდით დაითესა ათას ჰექტარზე მეტი საგაზაფხულო ხორბალი. ამ ნაკვეთებზე მოღებულია 35-40 პროცენტით მეტი მოსავალი იმ ნაკვეთებთან შედარებით, რომლებიც დამუშავებულია ჩვეულებრივი წესით.

ფრუნზეს სახელობის კოლმეურნეობაში გაიმართა ვიკულოვოსა და ალბატსკოეს რაიონების აგრონომების, კოლმეურნეობათა თავმჯდომარეების, მტს-ების მუშაკთა თათბირი, რომელიც მიეძღვნა ამხ. მალცევის აგროტექნიკას. თათბირის მონაწილეები იყვნენ კოლმეურნეობის ყანებში და ნახეს ნაოესები. მათ უჩვენეს ნიადაგის უფრთო გუთნებით დამუშავება 45-50 სანტიმეტრ სიღრმეზე.

ექსპედიციები ახალი მიწების ათვისების რაიონებში

ყაზახეთის, ციმბირის, ურალის, ვოლგისპირეთისა და ჩრდილოეთ კავკასიის უზარმაზარ სივრცეებში წარმოებს დიდი მუშაობა ყამირი და ნასვენი მიწების გამოსაკვლევად და შესარჩევად.

როგორც საკდესის კორესპონდენტს სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროში აცნობეს, მოწყობილია ათობით ექსპედიცია, რომლებიც ასობით ბრიგადისაგან შედგება. ექსპედიციების შემადგენლობაში არიან მოწათმომწყობები, ნიადაგმცოდნეები, აგრონომები, ჰიდროტექნიკოსები და მელიორატორები. მთელ რიგ ექსპედიციებს მეთაურობენ ჩვენი ქვეყნის თვალსაჩინო მეცნიერები. გამოკვლევებში მონაწილეობას იღებენ სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემია, ყაზახეთის სსრ მეცნიერებათა აკადემია, ვ. ი. ლენინის სახელობის სასოფლო-სამეურნეო მეცნიერებათა სრულიად საკავშირო აკადემია, ტიმირიაზევის სასოფლო-სამეურნეო აკადემია, სასუქების, აგროტექნიკისა და აგრონიადაგმცოდნეობის სრულიად საკავშირო სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტი, მოსკოვის მოწათმოწყობის ინსტიტუტი და ჩვენი ქვეყნის ბევრი სხვა სამეცნიერო დაწესებულება. ექსპედიციების მუშაობაში მონაწილეობენ აგრეთვე უკრაინის, მოლდავეთის, ლატვიისა და ლატვიის ნიადაგმცოდნეები და მოწათმომწყობნი.

ამჟამად სასოფლო-სამეურნეო კულტურების სათესად ახალი მიწების გამოკვლევა წარმოებს რუსეთის სფსრ 64 ოლქსა და მხარეში და ყაზახეთის სსრ 14 ოლქში. მარტო ყაზახეთში გამოკვლეულ იქნება ტერიტორია, რომელიც ათობით მილიონ ჰექტარს მოიცავს.

გარდა წინათ გამოყოფილი თითქმის 15 მილიონ ჰექტარი ყამირი და ნასვენი მიწებისა, რომლებსაც წარმატებით ითვისებენ წელს ჩვენი ქვეყნის კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები, კიდევ გამოვლინებულია ხუთ მილიონამდე ჰექტარი ნოყიერი მიწები. სულ წელს პარტიისა და მთავრობის გადწყვეტილების შესაბამისად შერჩეულ იქნება 28-30 მილიონი ჰექტარი ახალი მიწები, რომლებზეც უკვე 1956 წელს დაითესება ხორბალი და სხვა ძვირფასი კულტურები. (საკდესი).

ჩაის ძირითადი ფოთლის დამზადება

(საქართველოს ჩაის ტრესტის 26 აგვისტოს ცნობებით)

(გეგმის შესრულება პროცენტობით)

რაიონები	წლიურისა	აგვისტოსა ჩაის თვეების დასაწყისის ათეულით
ბათუმის	85,7	87,6
ქობულეთის	77,2	64,7
ფედის	97,5	125,0
სულ აჭარაში	**79,8**	**69,4**
გალის	76,1	55,8
ოჩამჩირის	79,1	59,9
გულრიფშის	83,3	68,3
სოხუმის	70,9	44,5
გუდაუთის	77,7	57,4
სულ აფხაზეთში	**77,5**	**57,5**
მახარაძის	73,1	56,3
ჩოხატაურის	72,3	47,6
ლანჩხუთის	73,9	55,9
სამტრედიის	55,3	31,6
წულუკიძის	67,8	44,7
ქუთაისის	66,4	37,3
წყალტუბოს	93,3	88,7
ტყიბულის	65,4	38,8
ცხაკაიას	63,4	42,8
აბაშის	55,4	41,0
გეგეჭკორის	71,7	50,4
ზუგდიდის	72,3	56,1
წალენჯიხის	83,2	74,3
ჩხოროწყუს	77,8	60,1
ხობის	62,5	42,6
თერჯოლის	53,8	6,1
ზესტაფონის	75,3	6,3
სულ საქართველოს სს რესპუბლიკაში	**74,7**	**56,8**

შენიშვნა: ქობულეთისა და ლანჩხუთის რაიონების ცრობები არასრულია.

თბილისის უმაღლესი სასწავლებლების მეცნიერების მუშაკთა ორდენებითა და მედლებით დაჯილდოება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1949 წლის 17 ნოემბრის ბრძანებულების შესაბამისად ნამსახურობისა და უმწიკვლო მუშაობისათვის ამას წინათ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა ორდენებითა და მედლებით დაჯილდოვა თბილისის უმაღლესი სასწავლებლების მეცნიერების მუშაკთა დიდი ჯგუფი.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტში

ლენინის ორდენით დაჯილდოებული არიან:

1. **ბერეჟიანი** დარია ივანეს ასული — მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.
2. **ვარაზი** ვასილ სოფრომის-ძე — მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.
3. **ვეშაპელი** ნინო გიორგის ასული — მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი.
4. **ღამბარაშვილი** გაბრიელ გრიგოლის-ძე — მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.
5. **ღვამიჩავა** ანდრია რომანის-ძე — მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი.
6. **გერსამია** ვლადიმერ სიმონის-ძე — მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი.
7. **გობრონიძე** ევგენი გიორგის-ძე — მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.
8. **დიდებულიძე** გრიგოლ ივანეს-ძე — მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.
9. **ედიბერიძე** ალექსანდრე იოსების-ძე — მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.
10. **ყენტი** ვლადიმერ აფლანის-ძე — მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი პროფესორი.
11. **ზურაბაშვილი** ავლიმპი დავითის-ძე — მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.
12. **იოსელიანი** დავით გიორგის-ძე — მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.
13. **ჭავთარაძე** პეტრე პავლეს-ძე — მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.
14. **კაციტაძე** ვასილ თადეოზის-ძე — მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.
15. **კვიცარიძე** შიო პოლიევქტის-ძე — მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი, ასისტენტი.
16. **ყიფშიძე** ნიკოლოზ ანდრიას-ძე — მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.
17. **კოკორაშვილი** მიხეილ ივანეს-ძე — მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.
18. **მაიხურაძე** ზაქარია ნიკოლოზის-ძე — მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.
19. **მათიაშვილი** გრიგოლ ვასილის-ძე — მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი.
20. **მენთეშაშვილი** ირაკლი ტიმოთეს-ძე — მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.
21. **მეკავანაძე** გედეონ არსენის-ძე — მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.
22. **ნათაძე** გიორგი მიხეილის-ძე — მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.
23. **ნათიშვილი** ალექსანდრე ნიკოლოზის-ძე — მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.
24. **ნემსაძე** ვლადიმერ ალექსანდრეს-ძე — მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.
25. **პარმა** იოსებ მიხეილის-ძე — მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი.
26. **ფიფია** ეგნატე კალისტრატეს-ძე — მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.
27. **როსტომბეკოვი** ვალერიან ნიკოლოზის-ძე — ბიოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი, პროფესორი.
28. **რცხილაძე** ირაკლი მიხეილის-ძე — მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.
29. **ხაყვარელიძე** სიმონ ელიაზარის-ძე — მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.
30. **ტატიშვილი** ირაკლი იაკობის-ძე — მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.
31. **ტუღმალაძე** კლავდი აბესალომის-ძე — მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი.
32. **ხეჩინაშვილი** გიორგი ლევანის-ძე — მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.
33. **ჭიხინაშვილი** ნინო იაკობის ასული — მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი, ასისტენტი.
34. **შუშანია** პლატონ გიორგის-ძე — მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.
35. **ერისთავი** კონსტანტინე დავითის-ძე — მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოებულია 27 კაცი; „საპატიო ნიშნის“ ორდენით — 27; მედლით „შრომითი მამაცობისათვის“ — 16; მედლით „შრომითი წარჩინებისათვის“ — 3 კაცი.

თბილისის ექიმთა დახელოვნების სახელმწიფო ინსტიტუტში

ლენინის ორდენით დაჯილდოებული არიან:

1. **ანთელავა** ნიკოლოზ ვარდენის-ძე — მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.
2. **ბაღდოევა** ქეთევან ივანეს ასული — ბიოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი, ასისტენტი.
3. **ვეფხვაძე** კონსტანტინე ფარნაოზის-ძე — მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.
4. **ჯორბენაძე** არკადი ბესარიონის-ძე — მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.
5. **იმერლიშვილი** ალექსანდრე სოლომონის-ძე — მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი.
6. **მთვარელიძე** შალვა იოსების-ძე — მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, დოცენტი.
7. **ნაზარიშვილი** გიორგი პეტრეს-ძე — მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.
8. **ნემსაძე** ეკატერინე ოტიას ასული — მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი.
9. **ფხალაძე** გრიგოლ მარკოზის-ძე — მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.
10. **სარაჯიშვილი** პეტრე მიხეილის-ძე — მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.
11. **ხათრიძე** ისაკი ანდრიას-ძე — მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.
12. **ხმალაძე** ალექსანდრე გიორგის-ძე — მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.
13. **ხრამელაშვილი** ნიკოლოზ გიორგის-ძე — მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.
14. **წულუკიძე** ალექსანდრე პეტრეს-ძე — მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.
15. **ელიაშვილი** ლეონტი ვასილის-ძე — მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოებულია 6 კაცი; „საპატიო ნიშნის“ ორდენით — 4; მედლით „შრომითი მამაცობისათვის“ — 2 კაცი.

თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტში

ლენინის ორდენით დაჯილდოებული არიან:

1. **ზავრიევი** კირიაკ სამსონის-ძე — ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.
2. **ლუნიაკინი** ბორის ალექსის-ძე — დოცენტი.

შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოებულია 7 კაცი; „საპატიო ნიშნის“ ორდენით — 4; მედლით „შრომითი მამაცობისათვის“ — 7; მედლით „შრომითი წარჩინებისათვის“ — 8 კაცი.

სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში

„საპატიო ნიშნის“ ორდენით დაჯილდოებულია 3 კაცი; მედლით „შრომითი მამაცობისათვის“ — 2 კაცი.

გადაჭრით ავამაღლოთ მეცხოველეობის პროდუქტიულობა

იძენენ ჯიშიან პირუტყვს

ახლა გორის რაიონის სოფელ კარალეთის კოლმეურნეობა „გამარჯვებაში“ საზოგადოებრივი მეცხოველეობის განვითარების საკითხით დიდათ არიან დაინტერესებული. აგრონომი გიორგი დეკანოსიძე ისევე ზრუნავს ამ საქმისათვის, როგორც ზოოტექნიკოსი ნინო ბეჟიტაშვილი, ანდა ვეტექიმი გიორგი რაზმაძე.

მას შემდეგ, რაც კოლმეურნეობის გამგეობამ ჩრდილოეთ კავკასიიდან ჯიშიანი ძროხები შემოიყვანა, ფერმაში მუშაობის სურვილი ზევრს აღეძრა. ფერმაში სამუშაოდ მოვიდნენ ახალი კადრები. ესენი არიან ალექსანდრა ხარიზგაშვილი, ეკატერინე გურგენაშვილი, ლევან არჩვაძე.

წელს კარალეთელმა კოლმეურნეებმა ორმოცდაათი სული ჯიშიანი ძროხა შეიძინეს. ჯიშთა გაუმჯობესებაა საქმეში ეს მნიშვნელოვანი წინგადადგმული ნაბიჯია.

ფერმაში განაცხადეს, რომ შარშანდელთან შედარებით წელს წველადობა მნიშვნელოვნად არის გაზრდილი. ფერმის გამგემ ნიკოლოზ ვახაგაშვილმა ამის ნათელსაყოფად ასეთი მაგალითი მოიყვანა. მწველავ რუსუდან გურგენაშვილისათვის მოსავლელად მიჩენილმა ადგილობრივი ჯიშის ერთ-ერთმა ძროხამ — „იაკოსეულმა მურამ“ წელს იმდენი ჯრძე მოიწველა, რამდენიც წინა სამ წელს ერთად.

— ეს კარგია, მაგრამ გასაკვირველი არ არის, — თქვა მწველავმა აგრაფინა ჩუხრუკიძემ, — როგორც „იაკოსეულ მურას“, ისე სხვა ძროხებს წინათაც ხომ გურგენაშვილი უვლიდა?!.. საქმე ის არის, რომ აქამდე ძროხებს ცუდად ვკვებავდით და ვუვლიდით, ახლა კი...

სიტყვა არ დაამთავრებინა გურგენაშვილმა.

— ახლა წველადობის გაზრდას იმანაც შეუწყო ხელი, რომ პირუტყვს ყოველდღიურად თავს დასტრიალებენ მშობლიური პარტიისა და მთავრობის მიერ ჩვენს კოლმეურნეობაში გამოგზავნილი სპეციალისტები.

— რუსუდანიც მართალია, — იყო ხმები აქეთ-იქეთან.

საზოგადოებრივი მეცხოველეობის განვითარებითა და მისი პროდუქტიულობის გაზრდით ბევრი მოწინავე ადამიანია დაინტერესებული სოფელ ხელდულეთის კოლმეურნეობაში. საკმარისია ითქვას, რომ ძროხების წველადობის გადიდების, ხბოებისა და გოჭების შენარჩუნებისა და გაზრდის გასული წლის შედეგების მიხედვით კოლმეურნეობაში მეცხოველეობის ოცდაათ მოწინავე ადამიანზე გაიცა პრემია-დანამატი.

მაგალითად, მეძროხეობის ფერმის მოწინავე მწველავს ნინო ვართუმაშვილს, რომელიც წელს მისთვის მოსავლელად მიჩენილ თვითეულ საფურაქე ძროხაზე გეგმით გათვალისწინებული 850-ის ნაცვლად 1.000 კილოგრამი რძის მიღებისათვის იბრძვის, გასული წლის მაჩვენებლების მიხედვით წელს პრემია-დანამატის სახით ერგო 791 ლიტრი რძე და 38 კილოგრამი ხორცი.

სოფლების კარალეთისა და ხელდულეთის კოლმეურნეობები რაიონში გამონაკლისი როდი არიან. რაიონის კოლმეურნეობებში გაიზარდა ჯიშიანი პირუტყვის შეძენისადმი მისწრაფება.

რაიონის კოლმეურნეობებს შემოყვანილი ჰყავთ 300 სულზე მეტი ჯიშიანი ძროხა. დაახლოებით ერთ ამდენს კიდევ შემოიყვანენ მეცხოველეობაში სამეურნეო წლის დასასრულამდე.

მ. ხეთაგური,

„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

თბილისი. კიროვის სახელობის ჩარხმშენებელ ქარხანაში ლითონის ეკონომიისათვის ბრძოლაში სახელი გაითქვა რაციონალიზატორმა მღარავმა ა. ალექსეენკომ, რომელმაც წელს 11 რაციონალიზატორული წინადადება შეიტანა. სურათზე: ა. ალექსეენკო მუშაობის დროს. ფოტო შ. ჩხეტიანისა.

ფერმებში უწესრიგობაა

საზოგადოებრივი მეცხოველეობის განვითარების საკითხებზე იწერება გრძელ-გრძელი რეზოლუციები, მოხსენებითი ბარათები, კომისიების დასკვნები, სხდომას სხდომა ცვლის, კრებებზე გაუთავებელი ლაპარაკია. ერთი შეხედვით თითქოს ყველაფერი რიგზეა, მაგრამ ამ ფორმალური სასხდომო ფუსფუსის მიღმა იფარება სერიოზული ნაკლოვანებანი, რომლებიც ბოდბისხევის კაგანოვიჩის სახელობის კოლმეურნეობის ყველაზე ჩამორჩენილ დარგს — მეცხოველეობას მძიმეტვირთად აწევს.

ბოდბისხეველები წლითიწლობით ვერ ასრულებენ მეცხოველეობის პროდუქტიულობის დავალებას. აშკარა დაუდევრობით შარშან დიდძალი პირუტყვი დაეცა, ერთ სეფურაქე ძროხაზე 241 ლიტრი რძე მოწველეს, გეგმა კი 780 ლიტრს ითვალისწინებდა. კონკრეტული მიზეზების ძიების ნაცვლად კოლმეურნეობის გამგეობა დაკმაყოფილდა მხოლოდ დანაკლისის გულგრილი აღრიცხვით. ამიტომ შარშანდელი ამბები წელსაც გამეორდა, ხოლო წველადობამ საგრძნობლად იკლო.

მეცხოველეობის ფერმებში გამეფებული უწესრიგობა, წველადობისა და საკვების ხარჯვისადმი კონტროლის შესუსტება ზიანს აყენებს საზოგადოებრივი მეცხოველეობის განვითარებას. მეძროხეობის ფერმაში დიდი ხანია შეიქმნა ქაოსი. აქ რატომღაც უგულებელყოფენ მეწველი პირუტყვის მოსავლელად მიჩენის პრაქტიკას. ამიტომ ადგილი აქვს შრომადღეების დარიცხვის გათანაბრებას. ეს უპასუხისმგებლობას იწვევს. არავინ ზრუნავს დაცვას კვების რაციონი. საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ ფერმის გამგემ გ. ზარიძემ ზოოტექნიკოს ბ. ცაბუტაშვილს აუკრძალა მოეწყო საკონტროლო წველა და პროდუქტების გადაწონა. ამ ნიადაგზე წარმოშობილი უკმაყოფილება ფერმის გამგესა და ზოოტექნიკოსს შორის კინკლაობაში გადაიზარდა. ეს ყველაფერი კარგად იცის კოლმეურნეობის გამგეობამ, მაგრამ რატომღაც გადამჭრელ ზომებს არ იღებს ფერმაში წესრიგის დასამყარებლად.

უდისციპლინობას და უწესრიგობას ის გარემოებაც უწყობს ხელს, რომ კოლმეურნეობის გამგეობა საჭირო ყურადღებას არ უთმობს ფერმების ხელმძღვანელი კადრებით განმტკიცებას. მეძროხეობის № 1 ბრიგადას, რომელსაც 300-ზე მეტი მსხვილფეხა პირუტყვი, მათ შორის 95 სული ძროხა ჰყავს, ორი თვის განმავლობაში არავინ ხელმძღვანელობდა. შესუსტდა კონტროლი წველადობაზე. ათი თვის მანძილზე თვითეულმა ძროხამ მხოლოდ 181 ლიტრი რძე მოიწველა (!). უკეთესი მდგომარეობა არც სხვა ბრიგადებშია.

როგორც კოლმეურნეობის ხელმძღვანელები თვითონაც აღიარებენ, წველადობის დაბალი მაჩვენებლები ძირითადად პირუტყვის ჯიშიანობის გაუმჯობესებისადმი გულგრილი დამოკიდებულებით არის გამოწვეული. ამ მიმართულებით აქ ფაქტიურად არაფერი კეთდება. რამდენიმე წლის წინათ ფერმაში 5 სული მეტიზებული ძროხა შემოიყვანეს, მაგრამ ჯიშიანი პირუტყვის გასამრავლებლად არავის უზრუნია. პირიქით, მათ მოვლა-პატრონობის ისეთი პირობები შეუქმნეს, რომ ისინი წველადობით სხვებისაგან დიდად არ განსხვავდებიან.

სოღნაღის რაიონის მოწინავე კოლმეურნეობებმა, რომლებსაც თითქმის თანაბარ პირობებში უხდებათ მუშაობა, თავის დროზე დააგროვეს პირუტყვის სკვები, მიზიდეს და დაბინავეს ფერმებთან, ჩადეს საკმარისზე მეტი სილოსი, უზრუნველყვეს ბინების მშენებლობა. ასე არ ითქმის ბოდბისხევის კაგანოვიჩის სახელობის კოლმეურნეობაზე, რომელიც თითქმის ორი წელია აშენებს მეკამეჩეობის ფერმას და ჯერაც არ დაუმთავრებია. დღემდე არ აუშენებიათ ცხვრის ფარეხები, დასამთავრებელია სასილოსე ორმოების მშენებლობა.

აზერბაიჯანის შორეულ საძოვრებზე თავის დამზადების ხელმძღვანელობისათვის გამგეობამ გაგზავნა კოლმეურნეობის თავმჯდომარის მოადგილე მ. ტუხაშვილი, რომელმაც ჩაშალა ეს საქმე, თავის დასაძვრენად კი აშკარად ყალბი საბუთები წარმოადგინა. შემოწმებისას 352 ტონა თივის ნაცვლად აღმოჩნდა მხოლოდ 109 ტონა. სად გაქრა დანარჩენი თივა გაურკვეველია.

უფრო უარეს მდგომარეობაშია ნამჯის შეგროვება. იმ დროს, როცა გეგმით გათვალისწინებული ნამჯის მესამედიც არ არის შეგროვებული, ხელაღებით წვავენ გაუსუფთავებელ ნაწვერალს შირაქში. ამის შედეგად ცეცხლეკიდება დაზვინულ ნამჯასაც.

კოლმეურნეობის გამგეობა (თავმჯდომარე შ. გოზალიშვილი) ფუჭი ოცნებებით ცდილობს ფეხზე დააყენოს მეცხოველეობა, მაგრამ არსებული მწარე სინამდვილე გვიჩვენებს, რომ ცოცხალი, ორგანიზატორული ხელმძღვანელობის სასხდომო ფუსფუსით შეცვლა საქმეს ვერ წასწევს წინ.

გ. ოქრუაშვილი,

გ. ხეჩუაშვილი,

„კომუნისტის“ სპეც. კორესპონდენტები.

ტყიბულელი მეშახტეები გაემგზავრნენ უკრაინაში

ტყიბული. („კომუნისტის“ საკ. კორ.). ამ დღეებში უკრაინელ მეშახტეთა მიწვევით ალექსანდროიაში გაემგზავრა ტყიბულელ მეშახტეთა დელეგაცია. დელეგაციაში შედიან მოლოტოვის შახტის მთავარი ინჟინერი გიორგი რაზმაძე, სამთო ინჟინერი ნინო გრიგალაშვილი, მწგრეველთა ბრიგადის ხელმძღვანელი აკაკი ხორხოლელიძე, ქვანახშირის მონგრევის ოსტატი ნოდარ თევდორაძე და სტახანოველი მთხრელი ივანე მასლაკოვი.

ტყიბულელი მეშახტეები დაათვალიერებენ ტრესტ „ალექსანდრიაუგოლის“ შახტებს, გაეცნობიან უკრაინელ მეშახტეთა მუშაობას, შეამოწმებენ სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრი ვალდებულებათა შესრულებას და მონაწილეობას მიიღებენ მეშახტის დღის აღნიშვნაში.

გრძელვადიანი სესხი კოლმეურნეობებს

ოჩამჩირის რაიონის კოლმეურნეობების კაპიტალურ დაბანდებათა და საწარმოო ღონისძიებათა დასაკრედიტებლად 1953 წელს სასოფლო-სამეურნეო ბანკის ოჩამჩირის განყოფილების მიერ გაცემულ იქნა 2.207 ათასი მანეთი, ხოლო მიმდინარე წლის შვიდი თვის განმავლობაში — 954.200 მანეთი. წელს საზოგადოებრივი მეცხოველეობის შემდგომი განვითარების ღონისძიებებისათვის გაცემულია 168.000 მანეთი, მეცენარეობისათვის — 585.000, მინერალური სასუქების შესაძენად — 128.000 მანეთი და ა. შ.

სოფელ მოქვის მ. ცხიკაიას სახელობის კოლმეურნეობამ კრამიტის შემქანიზებული ქარხნის მშენებლობისათვის მიიღო 32.000 მანეთი, მეცენარეობის განვითარებისათვის 63.000, მინერალური სასუქების შესაძენად — 20.000, ხოლო პროდუქტიული პირუტყვის შესაძენად — 10.000 მანეთი. სახელმწიფოსაგან აგრეთვე გრძელვადიანი სესხი მიიღეს სოფელ - მოქვის მალენკოვის სახელობის, სოფელ კვიტოულის მოლოტოვის სახელობის, სოფელ ილორის კომკავშირის სახელობისა და სხვა კოლმეურნეობებმა.

მიმდინარე წლის ბოლომდე რაიონის კოლმეურნეობები სახელმწიფოსაგან კიდევ მიიღებენ მილიონზე მეტ მანეთს.

მეშახტის დღის შესახვედრად

ქუთაისელ მანქანათმშენებლებს ნაკრძალ ვალდებულებანი

საბჭოთა კავშირის ქვანახშირის მრავალ რაიონში, მრავალ შახტში შეხვდება კაცი ქუთაისის სამთო მანქანათმშენებელი ქარხნის კოლექტივის მიერ დამზადებულ ვაგონეტებს, გადამტვირთავ მექანიზმებს, მრავალი სახელწოდების სხვადასხვა საშახტო მოწყობილობას. ამაყობენ მანქანათმშენებლები იმით, რომ მეტი ქვანახშირისათვის ბრძოლაში მათაც მიუძღვით წვლილი, რომ მეშახტეები უკმაყოფილო არ არიან მათი მუშაობით.

სახელოვან საბჭოთა მეშახტეებთან ერთად ტრადიციული დღესასწაულისათვის — მეშახტის დღისათვის წარმატებით ემზადებიან ქუთაისელი მანქანათმშენებლებიც. მათ წარმატებით შეასრულეს საერთო და სასაქონლო პროდუქციის გამოშვების შვიდი თვის გეგმა, მრავალი ასეული ათასი მანეთის ზეგეგმითი პროდუქცია მისცეს საქართველოს, დონბასის, მოსკოვსახლო ქვანახშირის სამრეწველო რაიონების საწარმოებს, ახალმშენებლობებს, საბჭოთა კავშირის მრავალ სხვა ქვანახშირის სამრეწველო რაიონებს. ათობით არტეზიული ტუმბოები, აგურის ქარხნებისათვის საჭირო სხვადასხვა მექანიზმები და მათი სათადარიგო ნაწილები მისცა სამშობლოს გეგმის გადამეტებით ქარხნის კოლექტივმა.

ამასთან საგრძნობლად არის გაუმჯობესებული პროდუქციის ხარისხი და გაიზარდა შრომის ნაყოფიერება. წელს განვლილ 7 თვეში შრომის ნაყოფიერების ზრდის დავალება შესრულებულია 104 პროცენტით, რაც გასული წლის შესაბამის პერიოდს 7,5 პროცენტით აღემატება.

ეს მიღწევები მოპოვებულია მთელი კოლექტივის მტკიცე დარაზმულობისა და მოწინავეთა გამოცდილების ფართოდ გავრცელების შედეგად. მოწინავე ადამიანები, წარმოების ნოვატორები ი ი ქარხნის კოლექტივს ზლომად ჰყავს. მანქანათმშენებელთა კოლექტივი ამაყობს ისეთი წარჩინებული ადამიანებით, როგორიც არიან ლითონკონსტრუქციების საამქროს ზეინკალი შ. რუხაძე, მჭედელი გ. გელენიძე, მღარავი კ. ლეკიძე, ხარატი ვ. სოლოდოლოვი, მეინსტრუმენტე კ. სოროკინი და სხვ.

მეშახტის დღისათვის მზადების დაწყებისას ქარხნის კოლექტივმა გადიდებული საწარმოო ვალდებულებები იკისრა და ენერგიული მუშაობა გააჩაღა მათ შესასრულებლად. ივლისში ქარხნის კოლექტივმა მოახდინა ნაკისრ ვალდებულებათა შესრულების მიმდინარეობის პირველი შემოწმება. ერთ-ერთი ძირითადი ვალდებულება იყო ახალციხე-ქვანახშირის ტრესტის შახტებისათვის ახალი სახის ლითონსამაგრების პირველი პარტიის გამოშვება. ეს ვალდებულება მანქანათმშენებლებმა პირნათლად შეასრულეს. ლითონსამაგრები არათუ გამოუშვეს, არამედ ბევრად გააუმჯობესეს მათი კონსტრუქცია. ამ ლითონსამაგრების დამზადებაზე ქარხანა მარტო მესამე კვარტალში 20.000 მანეთ ეკონომიას მიიღებს. ასეთი გაუმჯობესებული ლითონსამაგრების გამოყენება შახტებში საგრძნობ ეკონომიას მისცემს მეშახტეებსაც, ვინაიდან ლითონსამაგრების აწყობა და დაბეტონება გამონამუშევრებში დიდად გაადვილებულია.

ქარხნის კოლექტივი შეუდგა აგრეთვე გორგოლაჭებიანი პლატფორმების საცდელი ეკზემპლიარების გამოშვებას. ეს პლატფორმები გამოყენებულ იქნება დატვირთული ერთტომიანი ვაგონეტების ნაცვლად შემადგენლობაში ცარიელი ვაგონეტების დასაყენებლად, რაც დიდად დაიჩქარებს ვაგონეტების ბრუნვას, მაშასადამე სამთო გამონამუშევრთა ხაზის წინსვლას, ამაღლებს მეშახტეების შრომის ნაყოფიერებას და შეამცირებს სამთო საშუშაოთა თვითღირებულებას.

ამჟამად ქარხანაში ამზადებენ სამტონიან საშახტო ვაგონეტს დონბასის შახტებისათვის. დაწყებულია აგრეთვე კიდული ლენტური ტიპის 33,5 მეტრი სიგრძის გადამტვირთავი მექანიზმის დამზადება. ასეთი სისტემის გადამტვირთავი მექანიზმი ჩვენს ქვეყანაში პირველად კეთდება. გადამტვირთავი მექანიზმი რამდენიმე სექციისაგან შედგება. საჭიროების შემთხვევაში შეიძლება მისი გადიდებაც და დამოკლებაც. ამ მექანიზმს შეუძლია საათში 40 ტონა ქანობი გადატვირთოს და ერთდროულად 15 ვაგონეტი აავსოს.

ამასთან ქარხნის კონსტრუქტორები დაუღალავად მუშაობენ უკვე ათვისებული პროდუქციის შემდგომი კონსტრუქციული გაუმჯობესებისათვის. სსრ კავშირის ქვანახშირის მრეწველობის სამინისტროს მოსკოვის მეორე სამშენებლო-მექანიკური ქარხნის კოლექტივთან ერთად დაწყებულია მუშაობა არტეზიული სატუმბავი აგრეგატების გასაუმჯობესებლად. ასეთი გაუმჯობესებული არტეზიული სატუმბავი აგრეგატის საცდელი ეგზემპლარი გამოშვებულ იქნება უახლოეს დროში. ეს აგრეგატი ბევრად უფრო მარტივი და იოლი გამოსაყენებელია, ვიდრე ის ტუმბოები, რომლებსაც ქარხანა დღემდე უშვებდა, თანაც 700 კილოგრამით უფრო მსუბუქია. ეს იმის მომასწავებელია, რომ არტეზიული სატუმბავი აგრეგატების გამოშვებაზე ქარხანა ყოველწლიურად გასწევს დიდძალი ლითონის ეკონომიას.

დაწყებულია აგრეთვე საბაგირო გზის ვაგონეტის მოდერნიზაცია. ამ საქმეში აქტიური მონაწილეობა მიიღეს საბაგირო გზების ექსპლოატაციის მუშაკებმა და ქარხანაში მომუშავე რაციონალიზატორებმა. მათი კოლექტიური შემოქმედებითი მუშაობის შედეგად ვაგონეტის წონა - შემცირებულია 10 პროცენტით, შრომატევადობა — 20 პროცენტით და, რაც მთავარია, გამონახულია ბაგირზე ვაგონეტის დასამაგრებელ-სამრიალოს ისეთი კონსტრუქცია, რომელიც აადვილებს ვაგონის სრიალს, ამცირებს ავარიის შემთხვევათა შესაძლებლობას.

ბევრი რამ ახალი და საინტერესო კეთდება ამჟამად ქუთაისის სამთო მანქანათმშენებელ ქარხანაში ჩვენი მეშახტეების შრომის შესამსუბუქებლად, ქვანახშირის მოპოვების ტექნიკის გასაუმჯობესებლად. მანქანათმშენებლებს გადაწყვეტილი აქვთ მეშახტის დღის აღსანიშნავად სამშობლო თავიანთი ახალი წარმატებებით გაახარონ.

გ. ლაზარევი.

მოამზადებული შევხვდეთ რთველს

საქართველოში დიდი ღონისძიებები ხორციელდება რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის ერთ-ერთი წამყვანი დარგის — მევენახეობის ახალი მძლავრი აღმავლობისათვის. დღითიდღე იზრდება ვენახების ფართობი. მარტო უკანასკნელი ერთნახევარი წლის განმავლობაში კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში გაშენდა 3.000 ჰექტარი ახალი ვენახი. თანდათანობით ხდება ვაზის დაბალხარისხოვანი ჰიბრიდული ჯიშებისა და ძველი ამორტიზებული უძისავლო ვენახების ლიკვიდაცია.

ფართოვდება ყურძნის გადასამუშავებელი ქარხნებისა და მიმღები პუნქტების ქსელი. იზრდება კვალიფიციურ სპეციალისტთა რიგები, განუხრელად ინერგება წარმოებაში მოწინავე მევენახეთა და მეღვინეთა მდიდარი გამოცდილება.

მარტო მიმდინარე წლის რთველის დაწყებისათვის წარმოებას გადაეცემა ყურძნის გადასამუშავებელი 8 ახალი ქარხანა — ქისტაურის, ყვარლის, ველისციხის, აკურის, საგარეჯოს, გეგეჭკორის, გუდაუთის, წითელი ხევსისა, რომელთაგან თვითეული წელიწადში 1.000-დან 1.500-მდე ტონა ყურძენს გადაამუშავებს.

მევენახეობის განვითარებისათვის პარტიისა და მთავრობის დაუცხრომელ ზრუნვას საქართველოს კოლმეურნე გლეხობა, საბჭოთა მეურნეობის მუშები და სოფლის მეურნეობის სპეციალისტები ენერგიული შრომით უპასუხებენ. ვენახების მოვლა-პატრონობის გაუმჯობესების შედეგად შარშან მევენახეობის ძირითად რაიონებსა და საბჭოთა მეურნეობებში ყურძნის უხვი მოსავალი იქნა მოყვანილი. მშრომელთა ბეჯითმა შრომამ მიმდინარე წელსაც სასურველი ნაყოფი გამოიღო. ყურძნის საერთო მოსავლიანობა წელს გაცილებით გადააჭარბებს გასულ წელს მიღწეულ მაჩვენებლებს.

გურჯაანის რაიონის სოფელ ველისციხის კოლმეურნეობა „ლენინის ანდერძში“ 120 ჰექტარი ვენახის თვითეულ ჰექტარზე საშუალოდ 100 ცენტნერი ყურძნის მოკრეფას ვარაუდობენ. ამავე რაიონის სოფელ ჩუმლაყის კალინინის სახელობის კოლმეურნეობაში 80 ჰექტარი ვენახის ყოველ ჰექტარზე 120 ცენტნერ ყურძენს მიიღებენ.

ყვარლის რაიონის სოფელ მილდის კუიბიშევის სახელობის კოლმეურნეობა 100 ჰექტარი მსხმოიარე ვენახის ყოველ ჰექტარზე 80 ცენტნერ ყურძენს მოელის.

კარგად დაუფასდებათ ვენახებზე გაწეული შრომა ზესტაფონის, ვანის, მაიაკოვსკის, ორჯონიკიძისა და სხვა რაიონების კოლმეურნეობათა წევრებს. უხვი მოსავალია წელს საბჭოთა მეურნეობებშიც. ყულარის საბჭოთა მეურნეობა 160 ჰექტარი მსხმოიარე ვენახის ყოველ ჰექტარზე 150 ცენტნერ ყურძენს მიიღებს. ხირსის საბჭოთა მეურნეობა — 90 ცენტნერს, ხოლო ბომბორის საბჭოთა მეურნეობა — 150 ცენტნერს. უფრო მეტი მიღწევები ექნებათ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ცალკეულ ბრიგადებს, რგოლებსა და უბნებს.

მევენახეები ახლა რთველის დაწყების წინაშე დგანან.

რთველი მნიშვნელოვანი სამეურნეო კამპანიაა. მის წარმატებით ჩატარებაზე ბევრად არის დამოკიდებული ყურძნის უხვი მოსავლის მიღება და მაღალი ხარისხის ღვინოების დაყენება.

წელს არავითარ შემთხვევაში არ უნდა გავიმეოროთ გასული წლის შეცდომები, როცა ყურძენი უხარისხოდ იკრიფებოდა და პროდუქციის გადამუშავებამაც სერიოზული ნაკლოვანებები იყო. მაგალითად, კაჯრეთის რაიონის სოფელ კაკაბეთის კოლმეურნეობებში დაზიანებულ და დაავადებულ ყურძენს დაუხარისხებლად კრეფდნენ. ასეთივე მდგომარეობა იყო ვანისა და ჩოხატაურის რაიონების ზოგიერთ კოლმეურნეობაში. აფხაზეთის ასს რესპუბლიკის ზოგიერთ რაიონში 11-12 პროცენტი შაქრიანობის ყურძენს კრეფდენ. ამან ხელი შეუშალა ხარისხოვანი ღვინოების დაყენებას.

გურჯაანის, თელავის, ყვარლის, სიღნაღის ღვინის ქარხნებში ჭურჭლის საჭირო რაოდენობით უქონლობის გამო კახური ტიპის ღვინოები დაქირავებულ ქვევრებში დააყენეს, რამაც გაართულა ღვინოების მოვლა-პატრონობა.

გურჯაანის, მუკუზნის, წინანდლის, ნაფარეულის, მაიაკოვსკის, ვანის, ზესტაფონის ღვინის ქარხნები ტკბილის სადუღარი განყოფილებებით არ იყვნენ უზრუნველყოფილნი. ამის გამო ტკბილის საგრძნობი რაოდენობის დადუღებას ცის ქვეშ აწარმოებდნენ. ეს უარყოფითად მოქმედებდა ტკბილის ნორმალურ დუღილზე.

ქუთაისის, ვანის, ზესტაფონისა და მაიაკოვსკის რაიონებში ყურძენს ეზიდებოდნენ ძარღვითა და შეუფერებელი ჭურჭლით.

დიდი ნაკლოვანებანი იყო ყურძნის კრეფაზე მომუშავე კადრების შერჩევისა და განაწილების საქმეში. აღრიცხვა-ანგარიშსწორების საქმის მოუგვარებლობისა და დაბალი კონტროლის გამო მაიაკოვსკის, ზუგდიდის, ყვარლის, გურჯაანის ქარხსამმართველოებში იყო ყალბი დოკუმენტების გაცემისა და ფულის მითვისების შემთხვევები.

ახლა, როცა რთველის დაწყებამდე მცირე დრო დარჩა, მთავარია კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები, ღვინის ქარხნები, ყურძნის მიმღები პუნქტები ყოველმხრივ მოვამზადოთ ყურძნის დროულად მიღებისა და გადამუშავებისათვის.

ამ მხრივ ჯერ კიდევ დიდი ნაკლოვანებებია. აქამდე დამთავრებული არ არის ახალი ქარხნების მშენებლობა ყვარელსა, ველისციხესა, გეგეჭკორსა, წითელ ხევსა, აკურასა, საგარეჯოსა, ამაღლებასა და გუდაუთში, სადაც შესასრულებელია მნიშვნელოვანი სამუშაოები.

ბევრი რამ აქვთ გასაკეთებელი ყულარისა და ხირსის საბჭოთა მეურნეობებს შიდაწვის ძრავების ტრემონტისა და დამონტაჟების მხრივ.

ელგაყვანილობის სამუშაოები ჩამორჩენია ვანის, ზეინდარის, საგარეჯოს ღვინის ქარხნებში.

მოუგვარებელია წყლით მომარაგებისა და წყალსადენების გაყვანის საკითხი გურჯაანის, კარდანახის, მუკუზნისა და ნაფარეულის ღვინის ქარხნებში, რის გამო კასრებს გასაყოლთავად მდინარე ალაზანზე ეზიდებიან. შესაკეთებელია წნეხები ნაფარეულის, ბადიაურისა და ყვარლის ღვინის ქარხნებში, ხოლო ტუმბოები — წინანდლის, გურჯაანის, ხირსისა და მანავის ღვინის ქარხნებში. ჭიანურდება ჭაჭის შესანახავი აუზების შეკეთება და მშენებლობა სიღნაღის, ვანის, თელავისა და წინანდლის ღვინის ქარხნებში.

ჩამორჩენილია ქვევრების დამზადება და მარნების ჩაწყობა ტიბაანის, ქისტაურის, კარდანახის, გურჯაანის ღვინის ქარხნებში.

ავტოტრანსპორტის რემონტი ჩამორჩენია გურჯაანის, კარდანახის, ბოლნისის, მანავის, წინანდლისა და ხირსის საბჭოთა მეურნეობებში.

რთველისათვის მზადებაში არსებული ნაკლოვანებანი დაუყოვნებლივ უნდა გამოსწორდეს. საქართველოს სსრ სასურსათო საქონლის მრეწველობის სამშენებლო ტრესტმა და მისმა სამშენებლო კანტორამ გადამჭრელი ზომები უნდა მიიღონ ქისტაურის, ყვარლის, აკურის, ველისციხის, საგარეჯოს ღვინის ქარხნებში მშენებლობათა დასამთავრებლად და რთველის დაწყებისათვის მათ გადასაცემად წარმოებაში. იგივე მოეთხოვებათ „სამჭიის“ სამონტაჟო ტრესტსა და მის სამშენებლო კანტორებს, რომლებიც ამაღლების, წითელი ხევის, გუდაუთის ღვინის ქარხნების მშენებლობას აწარმოებენ.

სამტრესტის მშენებლობის ტექნიკური და საწარმოო განყოფილების მუშაკებმა ენერგიული ზომები უნდა მიიღონ, რათა ღვინის ქარხნები უზრუნველყონ სათანადო ინვენტარითა და მასალებით. საჭიროა ახლავე შემოწმდეს ყველა ხელსაწყოსა და დანადგარის მდგომარეობა, ისინი სავსებით მოწესრიგებულნი, აქტით ჩაბარდეს საამქროს უფროსებს, რათა რთველის დროს მათი მუშაობა არ ფერხდებოდეს.

საბჭოთა მეურნეობების ქარხსამმართველოებისა და ქარხნების დირექტორებმა რთველისათვის მზადების დარჩენილ დღეებში გადამწყვეტი ზომები უნდა მიიღონ ყველა დანადგარისა და ხელსაწყოს წესრიგზე მოსაყვანად.

საჭიროა რთველის დაწყებამდე კოლმეურნეობებში გავაჩაღოთ ფართო ახსნა-განმარტებითი მუშაობა. ქარხსამმართველოებისა და საბჭოთა მეურნეობების სპეციალისტებმა კოლმეურნეობებსა და კოლმეურნეებს უნდა გააცნონ ყურძნის კრეფის ტექნიკა და ვადები. ამასთან მეკონტრაქტეებს საფუძვლიანად უნდა განეუმარტოთ კონტრაქტაციისა და ყურძნის დამზადების პირობები. ყოველმა მევენახემ კარგად უნდა იცოდეს, რომ მაღალი შაქრიანობისათვის დაწესებულია პრემია-დანამატი, ხოლო დაბალი ხარისხის ყურძენი ნაკლებ ფასებში ანაზღაურდება.

ქარხსამმართველოებმა ღვინის ქარხნები და ყურძნის მიმღები პუნქტები ახლავე უნდა დაკომპლექტონ კადრებით: მწონავებით, შაქრიანობის მზომავებით, მოანგარიშეებითა და სხვ. საჭიროა ამ საქმისათვის შევარჩიოთ მცოდნე და კეთილსინდისიერი მუშაკები, მოვიმარაგოთ სასწორები, შაქრიანობის საზომები, ყურძნის მიღებასათვის საჭირო დოკუმენტაცია. რთველის დაწყება უნდა განისაზღვროს იმის მიხედვით, თუ როგორი ტიპის ღვინო უნდა დამზადდეს. ამიტომ ამ სამუშაოს დაწყებამდე ყურძენს სისტემატურად უნდა ვამოწმებდეთ შაქრიანობისა და სიმჟავის მხრივ.

ცალკეული ქარხნების, კოლმეურნეობების მიხედვით და ღვინოების მარკების გათვალისწინებით დგება ყურძნის მოკრეფა-გადამუშავების გრაფიკი, რაც მტკიცედ უნდა იქნას დაცული რთველის დამთავრებამდე.

ყურძენი უნდა მოიკრიფოს მშრალ ამინდში, ნამის აშრობის შემდეგ. დაკრეფილი ყურძენი მაშინვე გადაიგზავნება მარანში და სასწრაფოდ გადამუშავდება.

საჭიროა დაავადებული და სეტყვისაგან დაზიანებული მტევნები ყურძნის კრეფის დროს წინასწარ დაიკრიფოს და ცალკე გადამუშავდეს.

ქარხნებმა არ უნდა დაუშვან უხარისხო ყურძნის მიღება-გადამუშავება. კატეგორიულად აკრძალულია ყურძნის კრეფა ლითონის ჭურჭელში.

მეღვინეებმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქცინონ ნაზი ღვინოების დაყენებას, რისთვისაც ყურძნის გადამუშავების დროს მიღებული ტკბილი მოათავსონ ფრაქციებად ცალკე განკუთვნილ ჭურჭელში. ასევე განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ბუნებრივი ტკბილი ღვინოების დაყენებას.

მუდმივმოქმედი წნეხი „მოზილე“ გამოყენებულ უნდა იქნას მხოლოდ ჭაჭის სამოლოდ დასაწნეხად. იმ შემთხვევაში, თუ ასეთ წნეხში ყურძნის გატარება აუცილებელი ხდება, პირველი ფრაქცია აუცილებლად ცალკე იყოფა.

წელს სამტრესტმა თავისი სისტემის მეურნეობებიდან უნდა გასცეს და გაგზავნოს ორგანიზაციებისათვის მისაყიდად 3.000 ტონა ყურძენი. ეს საქმე დავალებული აქვთ დიმიტის, გაიურარხის, ყულარის, ხირსისა და სხვა საბჭოთა მეურნეობებს. აღნიშნულმა საბჭოთა მეურნეობებმა ახლავე უნდა გააფორმონ ხელშეკრულებები მიმღებ ორგანიზაციებთან და უზრუნველყონ მათთვის მაღალხარისხოვანი, კარგად შეფუთული ყურძნის მიწოდება.

მევენახეთა და ღვინის მრეწველობის მუშაკთა წინაშე წელს ფრიად პასუხსაგები ამოცანა დგას. მათი ვალია სამშობლოს მისცენ მეტი ყურძენი და მაღალხარისხოვანი ღვინოები.

აგრონომი პ. მახარაშვილი.

სამტრესტის მმართველის მოადგილე.

სასწავლო და აღმზრდელობითი მუშაობის გაუმჯობესებისათვის

თბილისის რაიონების მასწავლებელთა აგვისტოს თათბირებზე

26-27 აგვისტოს თბილისის რაიონებში მიმდინარეობდა მასწავლებელთა თათბირები. გასული სასწავლო წლის შედეგების ანალიზის საფუძველზე თბილისელი მასწავლებლები განიხილავდნენ სკოლების სასწავლო და აღმზრდელობითი მუშაობის ხარისხის შემდგომი ამაღლების ღონისძიებებს.

ლენინის რაიონის მასწავლებელთა აქტივის თათბირმა ყურადღება გაამახვილა სკოლებში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის გაუმჯობესების საკითხებზე, ახალი სასწავლო გეგმებისა და პროგრამების და ქალ-ვაჟთა ერთად სწავლების შემოღებასთან დაკავშირებულ ამოცანებზე. მომხსენებელმა განათლების განყოფილების გამგეს ამხ. გ. ცქიტიშვილმა და სიტყვებით გამოსულმა ამხანაგებმა აღნიშნეს, რომ ამ მხრივ რაიონში ბევრი რამ გაკეთდა. სკოლები ძირითადად მომზადებული ხვდებიან ახალ სასწავლო წელს.

მიუხედავად აღმზრდელობითი მუშაობის ერთგვარი წარმატებებისა, 1954 წლის იანვრიდან 4 ივლისამდე ლენინის რაიონის სკოლებში იყო მოსწავლეთა მიერ საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის 342 შემთხვევა. თათბირმა აღნიშნა, რომ სკოლასა და ოჯახს შორის საჭიროა მტკიცე კონტაქტი მოსწავლე ახალგაზრდობისადმი საზოგადოებრივი მეთვალყურეობის დაწესების მიზნით.

სტალინის რაიონის მასწავლებელთა თათბირის მონაწილეებმა ერთსულოვნად მიიწონეს პარტიისა და მთავრობის მიერ სასკოლო ცხოვრების გასაუმჯობესებლად მიღებული ღონისძიებანი. მომხსენებელმა და სიტყვებით გამოსულმა ამხანაგებმა ძირითადად ილაპარაკეს პარტიისა და მთავრობის ამ ღონისძიებათა განხორციელების გზებზე.

საინტერესო იყო პარტიის სტალინის რაიკომის პირველი მდივნის ამხ. ვ. პეტრიაშვილის გამოსვლა. მან აღნიშნა, თუ რა დიდ გავლენას ახდენს მოსწავლეების აღზრდაზე მასწავლებლის პიროვნული ქცევა, სიტყვა-პასუხი, ჩაცმა-დახურვა. მან აგრეთვე ილაპარაკა იმ არანორმალურ მდგომარეობაზე, რომელსაც ჯერ კიდევ ვხვდებით მასწავლებელთა შორის საათების განაწილების დროს; არიან პედაგოგები, რომლებსაც აქვთ 30-40 საათი, მაშინ როცა სხვებს 10-15 საათიც არა აქვთ.

თათბირზე სიტყვით გამოვიდა საქართველოს სსრ განათლების მინისტრი ამხ. გ. ჯიბლაძე.

უნდა აღვნიშნოთ ის გარემოება, რომ თათბირზე გამოსული ამხანაგებიდან მხოლოდ ერთი იყო რიგითი მასწავლებელი. სიტყვით გამოსული მრავალი ამხანაგი ზოგადი ფრაზებით დაკმაყოფილდა, რამაც ერთგვარი გავლენა მოახდინა თათბირის მსვლელობაზე.

კალინინის რაიონის მასწავლებელთა თათბირზე აღინიშნა, რომ პოლიტექნიკურ სწავლებაზე გადასვლისათვის სკოლები კარგად ემზადებიან. ფიზიკის, ქიმიის, ბუნებისმეტყველების კაბინეტებისათვის საჭირო ინვენტარის შესაძენად წელს გამოყოფილ იქნა 87.800 მანეთი. ყოფილი ვაჟთა მე-4 და ქალთა მე-2 სკოლების ტერიტორიაზე მოწყობილია სპეციალური მიწის ნაკვეთები მოსწავლეთა პრაქტიკული მეცადინეობისათვის. სხვა სკოლებს მიწის ნაკვეთები გამოყოფილი აქვთ რაიონის აგრობიოლოგიურ სადგურში. მაქსიმალურად იქნება გამოყენებული ბავშვთა ტექნიკური სადგურიც, სადაც ჩამოყალიბებულია ნორჩ ფიზიკოსთა, ქიმიკოსთა, ხელგამრჯეთა, ავიამოდელისტთა, ფოტომოყვარულთა და სხვა წრეები.

ორჯონიკიძის რაიონის მასწავლებელთა თათბირზე მთელმა რიგმა ამხანაგებმა აღნიშნეს, რომ ზოგიერთი მასწავლებელი დაბალ იდეურ-თეორიულ დონეზე აწყობდა გაკვეთილებს. ზოგან (ყოფილი ვაჟთა მე-10, მუშა ახალგაზრდობის № 5 საუღალო სკოლები) სათანადო ყურადღება არ ექცეოდა მოსწავლეთა ცოდნის შეფასებას.

თათბირმა აგრეთვე აღნიშნა, რომ მთელ რიგ სკოლებში არადამაკმაყოფილებლად იყო დაყენებული მათემატიკის, ფიზიკის, ბიოლოგიის სწავლება, ჯერჯერობით სიმაღლეზე არ იდგა კლასგარეშე მუშაობა.

მოლოტოვის რაიონის მასწავლებელთა აქტივის თათბირი სასკოლო ცხოვრების შრავალ მტკივნეულ საკითხს შეეხო. მომხსენებელი და სიტყვებით გამოსული- მასწავლებლები მიუთითებდნენ ლიბერალიზმზე, რასაც ადგილი ჰქონდა მედალოსანთა გამოშვების საქმეში.

საინტერესო წინადადება წამოაყენა 35-ე საუღალო სკოლის დირექტორმა ამხ. ჯაფარიძემ. მან მოითხოვა თბილისში აშენდეს ისეთი ქარხანა, რომელიც დაამზადებს სასკოლო-სასწავლო ნივთებსა და ხელსაწყოებს პოლიტექნიკური სწავლებისათვის.

საკმაოდ კრიტიკული იყო თბილისს **გარეუბნის რაიონის** განათლების განყოფილების გამგის ამხ. შ. ბერიძის მოხსენება, მაგრამ, ეს არ ითქმის სიტყვებით გამოსულ ამხანაგთა უმრავლესობაზე. ისინი არ შეხებიან ახალ დადგენილებებთან დაკავშირებით თავიანთ სკოლებში მუშაობის გარდაქმნის ღონისძიებებს, არ ულაპარაკიათ არსებით საკითხებზე.

მრავალ საყურადღებო საკითხზე ილაპარაკეს აგრეთვე **კიროვისა** და **26 კომისრის** რაიონების თათბირებზე მოხსენებებით და სიტყვებით გამოსულმა ამხანაგებმა.

საჭირო იქნება ჩვენი სკოლებისა და სახალხო განათლების დარგის მუშაკებმა ანგარიში გაუწიონ აგვისტოს თათბირებზე გაკეთებულ კრიტიკულ შენიშვნებს და გაითვალისწინონ ისინი მომავალ მუშაობაში.



ტყვარჩელი. სასტუმროს შენობა აკარმარაში.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

მომთაბარე მწყემსებთან

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრომ მიმდინარე წელს მეცხოველეობის საკოლმეურნეო ფერმების მუშაკებსა და მომთაბარე მწყემსებს შორის კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობის გასაუმჯობესებლად თვალსაჩინო მუშაობა გაწია. საზაფხულო საძოვრებზე მყოფ მომთაბარე მწყემსთა შორის მოეწყო 124 ლექცია-საუბარი. კვალიფიციურად ჩატარდა ლექციები თემებზე: „სკკპ ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის გადაწყვეტილებანი მეცხოველეობის შემდგომი აღმავლობის ღონისძიებათა შესახებ“, „მკვეთრად გავადიდოთ მეცხოველეობის სულდობა და პროდუქტიულობა“, „მეცნიერება და რელიგია ადამიანის წარმომობის შესახებ“, „საბჭოთა ადამიანის მორალური სახე“ და სხვ.

ლექცია-საუბრები მოეწყო ცენტრალური სალექციო ბიუროს შტატისა და შტატგარეშე ლექტორების საშუალებით როგორც საზაფხულო საძოვრებზე, ისე რაიონებში (წითელწყარო, ლაგოდეხი, სიღნაღი).

ახლახან ცენტრალური სალექციო ბიუროს ლექტორები მივლინებულ იქნენ ახალქალაქის, ბაკურიანის, ზოგდანოვკის, ლუკის მთის, ხევსურეთის და ქლუხორის საძოვრებზე, სადაც ლექცია-საუბრებს მოაწყობენ წითელწყაროს, სიღნაღის, თელავის, მახარაძის, წალენჯიხის, ჩხოროწყუს, ზუგდიდის, ხობის, ბაშის, ბათუმის, დმანისის, გარდაბნის, მარნეულის, თეთრი წყაროს, კაჭრეთის, დუშეთის რაიონებისა და აფხაზეთის ასს რაიონების მეცხოველეობის ფერმების მუშაკებთან და მომთაბარე მწყემსებთან.

აღსანიშნავია ისიც, რომ თრიალეთის და სხვა საზაფხულო საძოვრებზე მყოფ მეცხოველეობის საკოლმეურნეო ფერმების მუშაკთა და მომთაბარე მწყემსთა კულტურული მომსახურების მიზნით ამას წინათ ორი თვით მივლინებულ იქნა 17 კულტმუშაკი.

მომთაბარე მწყემსთა ლიტერატურით მომსახურების უზრუნველსაყოფად თრიალეთის საძოვრებზე სპეციალურად გაიგზავნა ბიბლიოთეკა-ავტომობილი, რომელსაც იქ აქვს ოთხი პუნქტი. ამ პუნქტებს ბიბლიოთეკა-ავტომობილი სისტემატურად ამარაგებს საჭირო ლიტერატურით. ამკამად თრიალეთის საძოვრებზე დამატებით იგზავნება ახალი წიგნები.

მომთაბარე მწყემსთა შორის ლიტერატურული საუბრების მოსაწყობად კულტურის სამინისტრომ თრიალეთის საზაფხულო საძოვრებზე მიაკლინა მწერალთა ბრიგადა, რომელმაც ექვსი ლიტერატურული საღამო გამართა. ერთგვარი ნაბიჯები გადაიდგა მომთაბარე მწყემსთა კინომომსახურების გაუმჯობესების მხრივაც. თრიალეთისა და ყიზლარის საძოვრებზე უჩვენეს ქინოფილმებს: „თოფიანი კაცი“, „მეცხოველეობის ფერმების მექანიზაცია და ელექტროფიკაცია“, „ჯიშის გამომყვანი მეურნეობა“, „ქეთო და კოტე“, „ადმირალი უშაკოვი“, „ტარას შევჩენკო“, „ჭრიჭინა“, „არსენა“ და სხვ.

ამ ღონისძიებათა გარდა ადგილებზე კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებები მომსახურებას უწევენ მომთაბარე მწყემსებს. მაგალითად, ბორჯომის რაიონულმა კულტურის სახლმა ამას წინათ აგიტმხატვრული ბრიგადა გაგზავნა რაიონის საზაფხულო საძოვრებზე. ბრიგადამ 11 კაცის შემადგენლობით ტაბაწყურის, ბალანთის, ღინტურის და ქცია-ნარიანის საძოვრებზე მყოფი მომთაბარე მწყემსებისათვის ცხრა კონცერტი მოაწყო.

ამ მხრივ კარგად იმუშავეს აგრეთვე ცხაკაიას და გეგეჭკორის რაიონულმა კულტურის სახლებმა.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის, თებერვალ-მარტისა და ივნისის პლენუმების ისტორიულ გადაწყვეტილებათა საფუძველზე მომავლისათვის კიდევ უფრო გაძლიერდება საზაფხულო საძოვრებზე მყოფ მეცხოველეობის საკოლმეურნეო ფერმების მუშაკებსა და მომთაბარე მწყემსებს შორის კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობა.

გ. ზაქარაია.

ნერუს სიტყვა ინდოეთის პარლამენტში

ინდოეთი — ინდონეზია — ჩინეთი

„ახალი ასიოელების“ — „ბანდუნგელების“ — „ბანდუნგელების“ ...

**ინდოეთ-ინდონეზიის ... ინდოეთ-ინდონეზიის

შეწყდეს პოლიციის ჭერორი დასავლეთ გერმანიაში!

გერმანიის კომუნისტური პარტიის გამგეობის განცხადება

ბერლინი, 27 აგვისტო. (საკდესი). როგორც ადნ-ის საგენტო გადმოგვცემს, გერმანიის კომუნისტური პარტიის გამგეობის სამდივნომ გამოქვეყნა განცხადება მაქს რაიმანის დაპატიმრების შესახებ ბრძანების გაცემის გამო.

„ადენაუერის მთავრობამ, — ნათქვამია განცხადებაში, — სასამართლოს გამომძიებლის მეშვეობით გამოსცა ბრძანება გერმანიის კომუნისტური პარტიის თავმჯდომარის მაქს რაიმანის დაპატიმრების შესახებ. ბრძანება დაპატიმრების შესახებ იმით არის დასაბუთებული, რომ მაქს რაიმანი პასუხისმგებელია „გერმანიის ეროვნული გაერთიანების პროგრამის“ შემუშავებისა და 1952 წლის ნოემბერში გამოქვეყნებისათვის.

გერმანიის კომუნისტური პარტიის „გერმანიის ეროვნული გაერთიანების პროგრამა“ გერმანელთა ურთიერთგაგების პროგრამაა. იგი აცხადებს ბრძოლას „საერთო ხელშეკრულებისა“ და „ევროპის თავდაცვითი გაერთიანების“ წინააღმდეგ, რომლებიც საფრთხეს უქმნიან მშვიდობასა და ჩვენი ხალხის არსებობას.

ბრძანება დაპატიმრების შესახებ კანონის საწინააღმდეგო ხელყოფაა ჩვენს პარტიასა და მის ხელმძღვანელობაზე. ადენაუერს მიაჩნია, რომ ამერიკის „ძალის პოლიტიკა“ ახლა უფრო, ვიდრე ოდესმე, საფრთხეშია. ბონის პოლიტიკის წარმომადგენლებს ფეხქვეშ ნიადაგი ერყევათ. ხალხის მასებში იზრდება იმის შეგნება, რომ ჩვენი ხალხი უნდა დაადგეს ახალ გზას, ჩვენი საშობლოს მშვიდობიანი გაერთიანებისა და ევროპის ყველა ხალხის კოლექტიური უშიშროების გზას.

ასეთია ის მიზეზი, რომლითაც კარლსრუეს იუსტიციამ მიიღო დავალება გამოიყენოს დაშინებისა და ტერორის უკანონო საშუალებანი გერმანიის პოლიტიკის ახალი ორიენტაციის დამცველთა წინააღმდეგ. სისტემა, რომელიც ფეხქვეშ თელავს უფლებასა და კანონს, ამით ამყარებს თავის ჭეშმარიტ ანტიდემოკრატიულ ხასიათს, აგრეთვე თავის სისუსტეს.

მაქს რაიმანისა და გერმანიის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობის თავისუფლების ხელყოფა მიმართულია ადენაუერის ყველა მოწინააღმდეგის წინააღმდეგ, იქნებიან ისინი სოციალ-დემოკრატები, ქრისტიან დემოკრატთა კავშირის წევრები თუ უპარტიოები. ეს ხელყოფა მიმართულია იმათ წინააღმდეგ, ვინც ილაშქრებს სოციუპაციო რეჟიმის მიერ გერმანიის შემდგომი დაშონების წინააღმდეგ, შეიარაღებისა და გათიშვის განგრძობის წინააღმდეგ. იგი მიმართულია ყველა იმათ წინააღმდეგ, ვინც ესწრაფვის გერმანიის საკითხის მშვიდობიან გადაჭრას და გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების დადებას.

გერმანიის კომუნისტური პარტიის გამგეობის სამდივნომ მოუწოდა ყველა გერმანელს, ვისაც შეგნებული აქვს თავისი პასუხისმგებლობა, მოითხოვონ პოლიციის ტეროროის შეწყვეტა დასავლეთ გერმანიაში, მაქს რაიმანის დაპატიმრების შესახებ ბრძანების დაუყოვნებლივ გაუქმება.

ამერიკის შეერთებული შტატების კომუნისტური პარტიის განცხადება

ნიუ-იორკი, 26 აგვისტო (საკდესი). ამერიკის შეერთებული შტატების კომუნისტურმა პარტიამ გამოქვეყნა განცხადება პრესისათვის, რომელშიც იგი გმობს კანონს კომპარტიის აკრძალვის შესახებ და აცხადებს, რომ „ყველა გარემოებაში კომპარტია იმუშავებს და იბრძოლებს თავისი კანონიერი არსებობისათვის“.

განცხადებაში აღნიშნულია, რომ იმ კანონის ძალაში შესვლა, რომელიც კრძალავს კომუნისტურ პარტიას და ახალ ბორკილებს დებს ამერიკის პროფკავშირებს, ნაბიჯია პოლიციური სახელმწიფოს გზაზე.

ეს ანტიკომუნისტური კანონი, აღნიშნულია შემდეგ განცხადებაში, მძიმე ლაჰვარს სცემს ამერიკის ღირსებასა და პრესტიჟს მთელი მსოფლიოს თვალში. მსოფლიო მიდის მოლაპარაკებისა და ორი სისტემის მშვიდობიანი თანაარსებობის გზით. მაგრამ ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკური ლიდერები აძლიერებენ რამდენადაც შეუძლიათ „ცივ ომს“. ყოველ წელიწადს ისინი სახელმწიფოს ათობერეულ 40 მილიარდ დოლარს „ცივი ომის“ დასაფინანსებლად... „მსოფლიოს ხალხებს ანტიკომუნისტური კანონი მიაჩნიათ ჰიტლერისა და მუსოლინის კანონების პირად და ფიქრობენ იმაზე, თუ სათ მიდიან ამერიკის შეერთებული შტატები და სათ სურთ წაიყვანონ დანარჩენი კაცობრიობა. ეს კანონი ემყარება ჰიტლერულ დიდ სიცრუეს იმის შესახებ, რომ კომპარტია აშკარლის მთავრობის ძალით დამხობას და ქადაგებს ამას. ეს აბსოლუტური მონაჭორია...“

„ჩვენ, — ნათქვამია განცხადებაში, — მოვუწოდებთ ყველა ამერიკელს, რომლებიც მხარს უჭერენ კონსტიტუციას, გაერთიანდნენ ამ სასზარელი კანონის გაუქმებისათვის ბრძოლაში. ჩვენ, კომუნისტები, განვაგრძობთ ჩვენს ბრძოლას მშვიდობისათვის, დემოკრატიისა და ხალხის კეთილდღეობისათვის, პროფკავშირებისა და ზანგი მოსახლეობის უფლებებისათვის.

ჩვენს პარტიას ვერ დააშრეს ეს ახალი თავდასხმა... ყველა გარემოებაში კომპარტია იმუშავებს და იბრძოლებს თავისი კანონიერი არსებობისათვის. იგი იბრძვის არა მარტო საკუთარი უფლებებისათვის, არამედ აგრეთვე ყველა ამერიკელის უფლებათა ბილისათვის“.

ბრაზილიის ამბები

ვარგასის სიკვდილისწინა წერილი

ლონდონი, 26 აგვისტო. (საკდესი). რეიტერის საგენტოს კორესპონდენტმა რიო-დე-ჟანეიროდან გადმოსცა:

სიკვდილისწინა წერილში, რომელიც პრეზიდენტ ვარგასის გვამის ახლოს იდო, ნათქვამია, რომ ოპოზიცია ბრაზილიაში და საერთაშორისო ძალები ვარგასს ხელს უშლიდნენ მის მისწრაფებაში დახმარებოდა „ბრაზილიის პატრა კაცს“ მისი ცხოვრების გაუმჯობესებაში. აღნიშნავს რა ოპოზიციას თვით ბრაზილიაში და საზღვარგარეთ ისეთი უმნიშვნელოვანესი განხრახვების წინააღმდეგ, როგორიც არის პოლიტიკა ნავთობისა და ელექტროენერგიის დარგში, კანონები მინიმალური ხელფასისა და ზემოგების გადასახადების შესახებ, პრეზიდენტი ვარგასი წერს, რომ იგი აწყდებოდა მხოლოდ „შეურაცხყოფას, ბრალდებასა და ცილისწამებას“, მაშინ როცა ოპოზიცია ცდილობდა ჩაეჩუმებინა იგი.

გონის გუნდესტაგის დეპუტატის შმიდტ-ვიტმაკის განცხადება პრეს-კონფერენციაზე ბერლინში

ბერლინი, 26 აგვისტო. (საკდესი). გერმანიის ერთიანობის საკითხთა კომიტეტმა დღეს მოაწყო პრეს-კონფერენცია, რომელშეც გერმანული და უცხოეთის პრესის მრავალ წარმომადგენელს განცხადება გაუკეთა ბონის ბუნდესტაგის დეპუტატმა შმიდტ-ვიტმაკმა.

— საღი დაფიქრების შემდეგ, — განაცხადა შმიდტ-ვიტმაკმა, — მე ჩამოვედი ბერლინს და მივმართე გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობას თხოვნით მოეცათ ჩემთვის შესაძლებლობა გამოესულიყავი აქედან საზოგადოებრიობის წინაშე.

ვიყავი რა ბუნდესტაგის ქრისტიან დემოკრატთა კავშირის ფრაქციისა და ევროპის უშიშროების საკითხთა და სრულიად გერმანიის საკითხთა მისი კომისიების წევრი, მე შემეძლო, განსაკუთრებით უკანასკნელ დროს, კარგად გამეცნო ფედერალური კანცლერის დოქტორ ადენაუერის პოლიტიკის მეთოდები და ასპექტები, რომლებსაც არ აკნობებენ საზოგადოებრიობას, აგრეთვე ბუნდესტაგის ბევრ დეპუტატს.

ამის მეოხებით მე, განსაკუთრებით ამბებით მდიდარი უკანასკნელი კვირის განმავლობაში, იმ დასკვნამდე მივედი, რომ კანცლერის ჯუტად აღებული გეზი საგარეო პოლიტიკის დარგში, რომლის მიზანია ევროპის თავდაცვითი გაერთიანების შექმნა, სრულიად არ შეესაბამება ჩვენი ხალხის ინტერესებს და დიდ საფრთხეს შეიცავს მშვიდობიანი მოლაპარაკებისათვის.

მრავალი წლის მანძილზე ქრისტიან დემოკრატთა კავშირის ორგანიზაციის „გერმანიის ახალგაზრდა კავშირის“ თავდაცვის საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარედ მოღვაწეობის დროს, მე ვმოქმედებდი „ევროპის თავდაცვითი გაერთიანების“ ფარგლებში გერმანიის კონტინგენტების შექმნის სასარგებლოდ მართლაც დემოკრატიული პრინციპების შესაბამისად. ბლანკის უწყების (დასავლეთ გერმანიის ფაქტიური სამხედრო სამინისტრო. — **რედ.**) ისეთი წევრების მოხსენებათა მეოხებით, როგორიც არიან პოდპოლკოვნიკი ფერბერი და გენერალ-მაიორი ვირმერი, აგრეთვე თვით ბატონი ბლანკი, მე მალე მივიღე წარმოდგენა იმ წინასწარ მუშაობაზე, რომელიც ბლანკის უწყ.-ამ განახორციელა.

მე ვემხრობოდი ხელახლა შეიარაღებას აღმოსავლეთიდან მოსალოდნელი საფრთხის გამო, რაზეც ჩვენ მუდამ მიგვითითებდნენ. მე მჯეროდა ამ შეიარაღებული ძალების შექმნაზე პარლამენტის ნამდვილი გავლენის შესაძლებლობა და ამას ვესწრაფვოდი ბუნდესტაგის ევროპის უშიშროების საკითხთა კომისიის შემადგენლობაში ჩემი შესვლის მომენტიდან. მაგრამ ეს რწმენა გაქარწყლდა განსაკუთრებით „ევროპის თავდაცვითი გაერთიანების“ საკითხთა კომისიის ვიწრო წრეში მუშაობის შედეგად.

მე დავრწმუნდი, რომ ფედერალური კანცლერი ბუნდესტაგსა და მის კომისიებს არ აცნობებს საგარეო პოლიტიკისა და შეიარაღების მნიშვნელოვან საკითხებს და იღებს გადაწყვეტილებებს, რომლებიც ეწინააღმდეგებიან მის დაპირებებს საზოგადოებრიობისა და ხელშეკრულების პარტნორების წინაშე.

უკანასკნელმა ამბებმა, განსაკუთრებით ეჟენევის თათბირის შედეგმა, მიჩვენა მე, ისევე როგორც ბევრ პოლიტიკურად მოაზროვნე ადამიანს, რომ მართლაც არსებობს მოლაპარაკების გზით საერთაშორისო დაძაბულობის შენელების შესაძლებლობა. მაინც არის შესაძლებლობა ამავე გზით ვაწარმოოთ მოლაპარაკება აგრეთვე გერმანიის პრობლემაზე. ამიტომ ხელახალი შეიარაღება რადაც უნდა დაჯდეს და ამასთან სრულიად სხვა პირობებში, ვიდრე ის პირობები იყო, რომლებიც „ევროპის არმიის“ იდეის წარმოშობის დროს არსებობდა, მე სწორად არ მიმაჩნია.

ეს თვალსაზრისი დადასტურდა ბუნდესტაგის ცალკეულ დეპუტატებთან ბაასის დროს. რომლებიც პირადად იცნობენ პირობებს ამერიკის შეერთებულ შტატებში. მაგალითად, ბუცერიუსმა ამერიკის შეერთებული შტატიბიდან დაბრუნების შემდეგ განაცხადა, რომ იქ არიან ძლიერი გავლენიანი წრეები, რომლებიც დაინტერესებული არიან კორეის ახალი შერყევის მსგავსი რაღაცის გამეორებით. ამიტომ მე მგონია, რომ ამერიკის პოლიტიკაზე ცალმხრივი ორიენტაცია უგუნურებაა. ამით გერმანია ისპობს დამოუკიდებელი პოლიტიკის ბევრ შესაძლებლობას.

ამ პოლიტიკურმა შთაბეჭდილებებმა და დასკვნებმა ის გამოიწვიეს, რომ მე გავემიჯნე ევროპის თავდაცვითი გაერთიანების პოლიტიკას და სამხედრო მზადებათა განხილვა დავიწყე სხვა თვალსაზრისით.

უკანასკნელ დროს გავრცელდა ცნობები, რომ მელთა თანახმად ბლანკის უწყებაში ფაქტიურად უკვე დამთავრდა მზადება 12 დივიზიისაგან შემდგარი 400-ათასიანი არმიის, აგრეთვე 80 ათასი კაცის რაოდენობით სამხედრო-საჰაერო ძალების ჩამოყალიბებისათვის. მაგრამ ეს ციფრები აღარ შეესაბამება უკანასკნელ ცნობებს.

იმ გადაწყვეტილებათა შესაბამისად, რომლებიც მიღებულია ამერიკის შეერთებული შტატებისა და ფედერალური რესპუბლიკის წარმომადგენელთა სპეციალურ საიდუმლო თათბირებზე ამა წლის ივნის-ივლისის მანძილზე ბადგოდესბერგში მოწმადებულია სამობილიზაციო გეგმა, რომელიც ითვალისწინებს გერმანიის კონტინგენტის შექმნას 24 დივიზიის რაოდენობით და არა 12 დივიზიისა. როგორც ეს თავდაპირველად იყო გათვალისწინებული, ამასთან მიღებულ იქნა მხედველობაში რეზერვის შექმნის შესაძლებლობა კიდევ 24 დივიზიის რაოდენობით.

ამ მოლაპარაკების დროს, რომელშიც მონაწილეობას იღებდნენ ამერიკის შეერთებული შტატების მხრივ, კერძოდ, ჩრდილოეთ ატლანტიკის კავშირის ორგანიზაციის შეიარაღებული ძალების მთავარსარდალი გენერალი გრიუნტერი, ხოლო გერმანიის მხრივ — გენერალი ჰოიზინგერი და კრიუველი, გადაწყდა მიენდოს ამერიკელ და გერმანელ სამხედრო ექსპერტთა სპეციალურ კომიტეტს სათანადო კონკრეტული გეგმების მომზადება დაამთავროს არაუგვიანეს ამა წლის 1 ნოემბრისა. გერმანიის მხრივ ამ კომიტეტში ხელმძღვანელი როლი უნდა შეასრულოს გენერალმა ჰოიზინგერმა.

ამ მოლაპარაკების დროს მიღებულ იქნა განსაკუთრებული გადაწყვეტილება გერმანიის მსხვილი სამხედრო-საჰაერო ძალების შექმნის შესახებ და ისეთ სპეციალურ ფორმირებათა შექმნის შესახებ, როგორიც არის მედესანტე პარაშუტისტთა ფორმირებანი. ცნობილია, რომ გერმანელებისათვის განკუთვნილი ამერიკული საომარი მასალების საწყობები უკვე დიდი ხანია იმყოფება ეგრეთწოდებულ კიიზერსლაუტერნის სამკუთხედში.

უნდა დავუცადოთ, აცნობებს თუ არა კანცლერი პარლამენტს ამგვარ საიდუმლო შეთანხმებებზე.

რაც შეეხება ოფიცერთა შეგროვებას მომავალი შეიარაღებული ძალებისათვის, უნდა აღინიშნოს, რომ უკვე დიდი ხანია წარმოებს მუშაობა გერმანიის ყოფილი ვერმახტის პრაადი შემადგენლობის არქივებზე, რომლებიც ბლანკის საიდუმლო განცხადების თანახმად მთლიანად მის უწყებაშია. ამ არქივის საფუძველზე, ანკეტების ჯერ კიდევ ახლანდელ დაგზავნამდე, მოხდა კადრების შერჩევა მეორე მსოფლიო ომის დროს ამ კადრების გამოცდილების შეფასების საფუძველზე, ამასთან ავას ისე აკეთებდნენ, რომ საზოგადოებრიობას არაფერი გაეგო.

ბლანკის უწყებაში მომზადებული და ამერიკის შეერთებულ შტატებთან აღნიშნულ მოლაპარაკებაში შეთანხმებული ღონისძიებანი დაუყოვნებლივ უნდა შეევიდეს ძალაში საფრანგეთისა და იტალიის მიერ ევროპის თავდაცვითი გაერთიანების შესახებ ხელშეკრულების რატიფიკაციის შემდეგ. ამიტომ, კანცლერის მიერ არაერთგზის გამოთქმული სურვილის თანახმად, გაურბიან ყველაფერს, რასაც შეუძლია შეაშფოთოს ამ ქვეყნების საზოგადოებრივი აზრი.

ჩემთვის და მრავალი ჩემი კოლეგისათვის დამაღონებელია ის, რომ ყოველივე ეს ხდება პარლამენტის ორგანოებისაგან ფარულად და გამორიცხავენ ამ ორგანოების მხრივ რაიმე ზეგავლენას. ყველაზე მეტად ინფორმირებულია ქრისტიან-დემოკრატთა კავშირის ევროპის თავდაცვითი გაერთიანების საკითხთა საფრაქციო კომისიის მხოლოდ ვიწრო წრე, კომისიისა, რომელშიც ჩემთან ერთად შედიან, კერძოდ, ისეთი დეპუტატები, როგორიც არის ლენცი, ჰაე, ეგერი, რასნერი, ბერენდსენი, კლიზინგი. ამავე დროს ეს საპარლამენტო კომისია უკვე თვეების მანძილზე მუშაობს საერთო საკითხებსა და მოხსენებებზე, საშინაო ხასიათის ისეთ პრობლემებზე, როგორიც არის, მაგალითად, ჯარისკაცის უფლება-მოვალეობანი, მისი, როგორც მოქალაქის მდგომარეობა, დისციპლინარული დებულება და სხვ.

ყველა არსებითის საკითხს კანცლერი წყვეტს მარტო თვითონ. ამის შედეგად ბლანკის უწყების საქმიანობა მნიშვნელოვანწილად განთავისუფლებულია პარლამენტის ზეგავლენისაგან.

ქრისტიან დემოკრატთა კავშირის ფრაქციის ევროპის თავდაცვითი გაერთიანების საკითხთა ვიწრო კომისიის ცდასაც კი შეექმნა მომავალ ოფიცერთა კადრების შემრჩევი კომისია, დღემდე მოპყავდა მხოლოდ ხანგრძლივი მოლაპარაკება და არავითარი შედეგი არ მოუცია. ბლანკმა თავის საკუთარ ფრაქციას განუცხადა, რომ კადრების საკითხზე ჯერ კიდევ არ არის მიღებული არავითარი გადაწყვეტილება, ამავე დროს კი ამას წინათ მან ერთ ამერიკულ ჟურნალში უკვე დაასახელა იმ ადამიანთა გვარები, რომლებიც უნდა დანიშნულ იქნან დიდ პოსტებზე ევროპის თავდაცვითს გაერთიანებაში.

ამრიგად პარლამენტს არ შეუძლია ხელი შეუშალოს არადემოკრატიული და ნაციონალისტური ელემენტების შეღწევას ევროპის თავდაცვითი გაერთიანების ფარგლებში. ამის ტიპიური მაგალითია მოხსენება გენერალ მაცკისა (ფედერალური სასაზღვრო პოლიციიდან) ევროპის თავდაცვითი გაერთიანების საკითხთა კომისიაში. ამ გენერლის შეხედულებები საეჭვოა, რომ განსხვავდებოდეს იმ შეხედულებებისაგან, რომლებიც მას წარსულში ჰქონდა. მისი მსგავსი ადამიანები ვარაუდობენ, რომ სხვა მონაწილე სახელმწიფოები (მონაწილენი ხელშეკრულებისა ევროპის თავდაცვითი გაერთიანების შესახებ. — **რედ.**) ვერ შეძლებენ თანაბარი რაოდენობის დივიზიების გამოყვანას, და ამიტომ ევროპის თავდაცვითს გაერთიანებას უკავშირებენ ევროპაში უპირატესი მდგომარეობის უზრუნველყოფის იმედებს.

ასეთივე მოტივები გაისმოდა დისკუსიაში საარის საკითხზე. მაგალითად, კანცლერმა შეძლო ვან ნატერსის გეგმისადმი წინააღმდეგობის დაძლევა თვით საკუთარ ფრაქციაშიც კი იმის აშკარა აღნიშვნით, რომ ევროპის თავდაცვითი გაერთიანების შესახებ ხელშეკრულების ძალაში შესვლის შემდეგ ფედერალური რესპუბლიკის პოზიცია გაძლიერდება და ამის შესაბამისად გადაწყდება დანარჩენი სადავო პოლიტიკური და ეკონომიური საკითხები.

კანცლერის ეს თვალსაზრისი ემხიბლება სამოთა-მეტალურგიული მრეწველობის წრეებში (ოგულისხმება „ევროპის ქვანახშირისა და ფოლადის გაერთიანების“ წრეები — **რედ.**). გავრცელებულ „აზრს იმის შესახებ, რომ „ევროპის გაერთიანების“ საშუალებით გერმანიის უფრო ძლიერი პოტენციალი ბუნებრივია დაეხმარება გერმანულ თვალსაზრისს მოიპოვოს განსაკუთრებული მნიშვნელობა.

ამ ფაქტების შედეგად მე შევიგნე, რომ კანცლერის ცალმხრივად ორიენტირებულ პოლიტიკას მიეყვანართ დაძაბულობისაკენ საგარეო პოლიტიკურ ატმოსფეროში და მას საბოლოო ანგარიშით შეიძლება მოჰყვეს გაუთვალისწინებელი შედეგები გერმანიისათვის.

შემაძრწუნებელი სიცხადით ამას გვიჩვენებს მოხსენება ატომური სტრატეგიისა და მომავალი ომის შედეგების შესახებ, რომელიც გენერალმა ჰოიზინგერმა გააკეთა ევროპის თავდაცვითი გაერთიანების საკითხთა კომისიაში მიმდინარე წლის ივლისის შუა რიცხვებში. ჰოიზინგერი მთელი სერიოზულობით ლაპარაკობდა ატომის ბომბის მოქმედების ხასიათზე და დაცვის საშიროებაზე.

გასაგებია, რომ არა მარტო ამ, არამედ სხვა ზემოაღნიშნულმა გარემოებებმა დააფიქრეს სხვა დეპუტატებიც. ამის შედეგად ხშირად შეიძლება გაიგონოთ აზრი ერთპიროვნულ პოლიტიკის წინააღმდეგ, მაგრამ, სამწუხაროდ, მუდამ მხოლოდ პირად საუბარში და ვიწრო წრეში. ეს იმით აიხსნება, რომ ქრისტიან დემოკრატთა კავშირის ფრაქციაში კანცლერის თანდასწრებით შეუძლებელია ნამდვილად თავისუფლად აზრის გამოთქმა მნიშვნელოვანი საკითხების განხილვის დროს. მისი ავტორიტარული საქციელი, მისი შეგნებული გადახვევა ან პრობლემის მნიშვნელობის შემცირება, ცალკეულ დეპუტატებზე პირადი ზეგავლენის მოხდენის მისი სისტემა შეუძლებელს ხდიან აზრის თავისუფლად გამოთქმის და საკითხის ღრმად განხილვას ფრაქციაში.

გარდა ამისა, ეს ვამოვლინდა იმით, რომ დეპუტატების ყოველგვარი შეგნებული წინააღმდეგობა ისეთ საკითხებშიც კი, რომლებსაც დაქვემდებარებული მნიშვნელობა აქვთ, ამ დეპუტატებისადმი აშკარად ბოიკოტს იწვევდა. მოგაგონებთ, რომ წინათ ქრისტიან დემოკრატთა კავშირის დეპუტატი მიულერ-გერმანი დაშორდა ევროპის თავდაცვითი გაერთიანების კონცეპციას, რის გამო შემდეგ ამ დეპუტატის მდგომარეობა ფრაქციაში მნიშვნელოვნად გაუარესდა.

სწორედ ასეთი მდგომარეობაა კოალიციურ პარტნიორებთან ურთიერთობაში. საინტერესო იყო, რომ, როცა სიძნელეები გაჩნდა, კანცლერმა იხმო თავისი ფრაქციების ხელმძღვანელები სათითოოდ და თვითეულ მათგანს აიწმუნებდა დათანხმებოდა მის თვალსაზრისს.

ამ წესების ცოდნა საშუალებას გვაძლევს მივეხვდეთ, თუ რატომ ვერ გავაკეთე ასეთი განცხადება ბონში, თუ კიდევ ვიყავი დაეჭვებული ამაში, ბონის რეაგირება მიჩვენებს, იქ რომ ასეთი განცხადება გამეკეთებინა, ჩამაჩუმებდნენ.

მას შემდეგ, რაც ამ დასკვნამდე მივედი, შევეცადე მაინც ბონშიც დამეთანხმებინა ჩემი ფრაქციის თვალსაჩინო კოლეგები მტკიცე პოზიციაზე დამდგარიყვნენ კანცლერის მიმართ. მაგალითად, ჯერ კიდევ ამ ცოტა ხნის წინათ მტკიცედ მივუთითე ფრაქციის ხელმძღვანელს ფონ ბრენტანოს და პარლამენტის მდივანს (ქრისტიან დემოკრატთა კავშირი. — **რედ.**) დოქტორ კრონეს, თუ რა ძნელ მდგომარეობაში ჩამაგდო ჩემმა რწმენამ. მე განვაცხადე, რომ ახლა რადაც უნდა დაჯდეს ბოლო უნდა მოეღოს ევროპის თავდაცვითი გაერთიანების გზით სვლას. მე ვამბობდი, რომ საქმე აღარ შეიძლება ასე გაგრძელდეს, რომ გაერთიანებისა და საშინაო პოლიტიკის საკითხები ყოველთვის უკანასკნელ ადგილზე გადაიდება ხოლმე და საშინაო პოლიტიკას მნიშვნელოვან საფრთხეს უქმნის საგარეო პოლიტიკა.

ამ ლაპარაკის დროს ვაცხადებდი, რომ საჭიროა ბოლოსდაბოლოს ნამდვილად შევასრულოთ ქრისტიან დემოკრატთა კავშირის სოციალური ამოცანა. ეს მოთხოვნა ჩემს თვალში ძლიერდებოდა ამომრჩეველთა წრეებში გამოთქმული მრავალი მოსაზრების შედეგად. ამასთან მე განსაკუთრებით მაღელვებდა გადაუჭრელი სოციალური პრობლემები მშობლიურ ქალაქ ჰამბურგში. თუმცა აზრთა ამ მსვლელობამ გამოხატურება ჰპოვა მოხსენებულ დეპუტატებში, მაგრამ მაინც ვერ დავინახე, რომ ისინი მზად იყვნენ უსწრაფესი მოქმედებისათვის.

ძნელია ასეთ მოკლე განცხადებაში აღვნიშნო ყველა მომენტი, რომლებმაც მძიმე შინაგანი ბრძოლის შემდეგ მაიძულა საბოლოო ანგარიშით ხელი ამეღო ჩემს პოლიტიკურ და პირად მოღვაწეობაზე ბონსა და ჰამბურგში. მაგრამ მე მტკიცედ დავრწმუნდი, რომ ძალის პოლიტიკის შედეგად შეუძლებელია როგორც გერმანიის გაერთიანება, ისე საგარეო პოლიტიკის პრობლემათა გონივრული გადაჭრა. ევროპის თავდაცვითი გაერთიანების პოლიტიკა, რომელსაც ფედერალური კანცლერი ადენაუერი ახორციელებს, თუ ბონიდან შეეხედავთ, მხოლოდდამხოლოდ ძალის ამ პოლიტიკას გამოხატულებაა და, როგორც ბრიუსელის თათბირმა ცხადყო, ჩიხში მივყავართ.

ამრიგად, მე უნდა მიმეღო გადაწყვეტილება, კვლავ მელოდნა, თუ აშკარად გამომეთქვა ჩემი აზრი. მე მივიღე ჩემი გადაწყვეტილება. ამასთან მინდა დავარწმუნო ჩემი პარტიული მეგობრები და ამომრჩეველები, რომ ამის შედეგად სრულიადაც არ მითქვამს უარი ჩვენი პარტიის პრინციპებზე. ჩემს შემდგომ პოლიტიკურ მოღვაწეობაში ვიმოქმედებ ქრისტიანულ-დემოკრატიული სულისკვეთებით შეთანხმების პოლიტიკის სასარგებლოდ.

თავისი განცხადების დამთავრების შემდეგ შმიდტ-ვიტმაკმა უპასუხა გერმანული და უცხოეთის პრესის წარმომადგენელთა მრავალ კითხვაზე.

უპასუხა რა დასავლეთ გერმანიის გაზეთ „ზიუდდოიჩე ცაიტუნგის“ კორესპონდენტის კითხვაზე, თუ რა ბედი ეწვევა მის როგორც ბონის ბუნდესტაგის დეპუტატის მანდატს, შმიდტ-ვიტმაკმა განაცხადა, პირადად ჩემთვის ეს საკითხი მეორეხარისხოვანიაო. ამასთან მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ იგი ძლიერ აღაშფოთა ჩხრეკის ფაქტმა, რომელიც ბონის პოლიციამ მოაწყო მის ბინაში, „მიუხედავად იმისა, რომ მას გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში გადმოსვლის შემდეგაც კი ჰქონდა დეპუტატის ნამდვილი მანდატი. ყველაფერი ისე ხდება, თქვა შმიდტ-ვიტმაკმა, რომ სურთ რა საშუალებითაც უნდა იყოს ჩამომართვან დეპუტატის მანდატი.

შემდეგ, უპასუხა რა გაზეთ „ბერლინერ ცაიტუნგის“ წარმომადგენლის შეკითხვაზე, შმიდტ-ვიტმაკმა უარყო ბონის ბუნდესტაგის ქრისტიან დემოკრატთა კავშირის — ქრისტიან-სოციალური კავშირის ფრაქციის თავმჯდომარის ფონ ბრენტანოს ყალბი განცხადებანი იმის შესახებ, რომ იგი, ფონ ბრენტანო თითქოს პირადად აღ იცნობდა მას.

შეეხო რა „ევროპის თავდაცვითი გაერთიანების“ მონაწილე ქვეყნების ბრიუსელის კონფერენციის შედეგებს, შმიდტ-ვიტმაკმა ადნ-ის კორესპონდენტის კითხვაზე უპასუხა:

ბრიუსელის თათბირის შედეგად მე ვხედავ იმის დადასტურებას, რომ ევროპის თავდაცვითი გაერთიანების პოლიტიკა ჩიხში მოემწყვდა და რომ ჩვენი ამოცანა ანუ უფრო დასავლეთის ამოცანაა განახორციელოს ახლა, უკანასკნელ წუთს, მობრუნება საგარეო პოლიტიკაში.

კითხვაზე, გერმანიის გაერთიანების გზა როგორ გაქვთ წარმოდგენილი, შმიდტ-ვიტმაკმა უპასუხა:

მე შეეეცდებოდი შემეცვალა ცალმხრივი ორიენტაციის პოლიტიკა ნამდვილი გერმანული პოლიტიკით.

უპასუხა რა ბერლინის დემოკრატიული გაზეთის „ნოიე ცაიტის“ კორესპონდენტის კითხვაზე, „როგორ აფასებთ ბუნდესტაგში ქრისტიან დემოკრატთა კავშირის ფრაქციის პოზიციას გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის საბალხო პალატის წინადადებათა მიმართო?“. შმიდტ-ვიტმაკმა ხაზგასმით აღნიშნა, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის საბალხო პალატის წინადადებანი ბუნდესტაგს არ განუხილავსო.

კოპენჰაგენის გაზეთ „ბერლინგსკე ტიდენდეს“ კორესპონდენტის კითხვის პასუხად შმიდტ-ვიტმაკმა განაცხადა, მე არასოდეს არ ვყოფილვარ კომუნისტი ან მარქსისტი და კომუნისტად გახდომას არ ვაპირებო.

დასავლეთგერმანული ჟურნალის „დერ შპიგელის“ წარმომადგენელმა ჰკითხა მას, შარშან სექტემბერში თქვენ დათანხმდით, რომ თქვენი კანდიდატურა დაესახელებინა ბუნდესტაგის დეპუტატად ქრისტიან დემოკრატთა კავშირს, თუმცა იცოდით, რომ ამ საარჩევნო ბრძოლას თქვენი პარტია მხოლოდ და მხოლოდ ევროპის თავდაცვითი გაერთიანების ნიშნით აწყობდა. რამ გაიძულათ, მიუხედავად ამისა, წამოგეყენებინათ თქვენი კანდიდატურა?

შმიდტ-ვიტმაკმა უპასუხა: დიდხანს ვიყავი ევროპის თავდაცვითი გაერთიანების პოლიტიკის მომხრე. მე ეს ჩემს განცხადებაშიც ვთქვი. ცვლილება ნელა ხდებოდა. სწორედ ბუნდესტაგში ჩემმა მოღვაწეობამ გამოიწვია ჩემი შეხედულებების ეს შეცვლა.

მას შემდეგ რაც შმიდტ-ვიტმაკმა პასუხი გასცა ამ კითხვაზე, პრეს-კონფერენციის თავმჯდომარემ პროფესორმა ნორდენმა დამატებით განაცხადა, რომ უკანასკნელ ხანს გერმანიის ერთიანობის საკითხთა კომიტეტში დასავლეთ გერმანიიდან მოდის სხვადასხვა ადამიანთა განცხადებანი, რომლებშიც ისინი ამბობენ, რომ გასულ წლამდე ისინი ევროპის თავდაცვითი გაერთიანების მოიმხრეები იყვნენ, მაგრამ უკანასკნელი თვეების ამბებმა შეაცვლევინა მათ ეს თვალსაზრისი. დადგება დრო, თქვა პროფესორმა ნორდენმა, როცა ეს ადამიანები აშკარად გამოაცხადებენ თავიანთ ვინობას.

კითხვაზე, იცით თუ არა რამე „ევროპის თავდაცვითი გაერთიანების“ საიდუმლო შეთანხმებათა შესახებო, შმიდტ-ვიტმაკმა თქვა: რაც შეეხება ევროპის თავდაცვითი გაერთიანების ასეთ შეთანხმებებს, შემიძლია ვთქვა მხოლოდ ის, რომ ზოგი რამ ვიცი.

პრეს-კონფერენციაზე საბოლოო სიტყვა წარმოთქვა გერმანიის ერთიანობის საკითხთა კომიტეტის მდივანმა პროფესორმა ა. ნორდენმა. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ ბუნდესტაგის დეპუტატ შმიდტ-ვიტმაკის განცხადება იმას მოწმობს, რომ დასავლეთ გერმანიის საზოგადოებრიობის სულ უფრო ფართო წრეები ხედავენ ადენაუერის პოლიტიკის საფრთხეს.

ნორდენმა მოუწოდა დასავლეთ გერმანიის პოლიტიკური, ეკონომიური და კულტურული ცხოვრების მოღვაწეებს, რომლებსაც შეგნებული აქვთ პასუხისმგებლობა, გადაჭრით გაწყვიტონ კავშირი გერმანიის გათიშვის პოლიტიკასთან, რომელსაც ადენაუერი ახორციელებს, და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის წარმომადგენლებთან მოლაპარაკების მაგიდასთან შეიმუშაონ კონსტრუქციული წინადადებანი გერმანიის საკითხის გადაჭრის შესახებ.

გერმანიის ერთიანობის განხორციელება, განაცხადა ნორდენმა, მხოლოდ მოლაპარაკების გზით შეიძლება.

ბონის ბუნდესტაგის ეროვნული საგარეო საქმეთა კომისიის ბოლო სხდომა

ბონი, 26 აგვისტო. (საკდესი). ბონის ბუნდესტაგის ეროვნული საგარეო საქმეთა კომისიის ბოლო სხდომა, ეტყობა, ბოლოს ადასტურებს, ბონის ბუნდესტაგი ეროვნულ ინტერესებს ვერ ან არ ეფარებიან, ეროვნულ ინტერესებს ბონის ბუნდესტაგი ვერ ან არ ეფარებიან, ეროვნულ ინტერესებს ბონის ბუნდეს